№ 2758 ოთხშაბათი, 2 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 2758 ოთხშაბათი, 2 მარტი

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

2 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ზედამხედველ კომიტეტის წევრის მუკდენთან მოკლულის

პოლკოვნიკის თავ. ვლადიმერ გაბრიელის ძის მაყაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აცხადებს **ბანკის ზედამხედველი კომიტეტი და გამგეობა.** (1—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის 8—9 საათ.
გ. ზ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და პარასკევობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ი. დ. ლამაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
გ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა: 12—1 ს.
1. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საშოსა, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ქ. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ხ. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.
ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ექიმი
ი. ა. გოკიელოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. აკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—24)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—17—9)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—25)

3000 მანეთი ჯილდოდ
ვინც აღმოაჩენს
მოიპარეს ძმ. კარაპეტ და ბეგლარ ვართანოვების მაღაზიიდან
სიონის ქუჩაზედ, ანანოვის ქარვასლაში:
ნაღდ ფულად . . . . 1266 მ. 17.
სარგებლიანი ქაღალდები:
4 ბილ. I სესხისა 14864/49, 09819/23, 11496/25, 15265/44.
4 „ II სესხისა 17666/8, 14126/27, 0981/36, 10014/7.
15 „ III სესხისა 08591/17, 01590/46, 01658/7, 08588/17, 08589/17, 08590/17, 08707/17, 08703/17, 02207/36, 00372/1 08582/17, 08706/17, 11340/58, 03634/12 06353/19.
აქციები:
მირზოევისა—20 აქცია №№ 5511-დან 5530-მდე, თითო 500 მან.
ნახშირა-ტყვიბულის საზ.—10 აქცია №№ 740—749 თითო 500.
ტფილ. საკომერციო ბანკისა—10 აქცია II გამოცემისა №№ 8647-დან 8656-მდე თითო 500 მან.
ტფილ. საკომერციო ბანკისა 10 აქცია III გამოცემისა №№ 3132-დან 3141-მდე. თითო 500 მან.
ნავთის მწარმოებელ საზოგ. ქალანთაროვისა—4 აქცია №№ 96, 97, 98, 99 თითო 5000 მ.
ნავთის მწარ. ამხ. ნაბატოვისა—4 აქცია, ნომრები ცნობილი არ არის, თითო 5000 მან.
ნავთ. მწარმ. ამხ. არამაზდისა—90 აქცია №№ [illegible]551, 8306-დან 8325-მდე, 8278-დან 8281-მდე, [illegible]285-დან 8298-მდე, თითო 250 მან.
[illegible]ალო-კასპიის ამხან. ვოროტან და ტერ-მარქა[illegible]—53 აქცია №№ 111-დან 136-მდე, 150-დან [illegible]78-მდე თითო 250 მ.
[illegible] მწარმოებ. ამხან. ვოროტანისა—53 აქცია №№ [illegible]1296, 1297, 1515, 1516, 1349, 1350, 1710, [illegible]5, 486, 487, 488, 489, 412, 1131-დან 1135-[illegible] 1115, 1111-დან 1114-მდე, 1347. 1348, [illegible], 1667, 1688, 1509, 168, 360, 361, 398, [illegible]83, 894, 966, 967, 968, 984, 1122, 1124, [illegible] 1597, 1645, 1646, 1648, 1649, 1651, [illegible] 1900, 1901, 2132 თითო 250 მ.

ი. ბ. მალაევის
მაღაზიის სამანუფაქტურო განყოფილება თამამშევის ქარვასლა, №№ 22 და 23, პა-(აქედან № 19), რადგან იკეტება, ნიშნავს
იაფ გაჭრობას.
საქონელი ჩვეულებრივ ფასზე 50% ნაკლებ გაიყიდება.
პატივისცემით **ი. ბ. მალაევი.** (3—72—3)

ტფილისსა და დილომს შუა სამგზავრო ეტლი მიმოდის ყოველ დღე
დილმიდან ვერაზე: დილის 7 საათზედ ნაშუადღევის 3 საათ.
ვერიდან დილომს: დილის 9 საათზედ საღამოს 5 საათზედ
მგზავრზედ 25 კაპეიკი.
პატარა მოსწავლეთათვის 15 კაპეიკი. (10—1)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
28 თებერვალი.

ტოკიო. ამოწმებენ, რომ ნამდვილად მუკდენი 23 თებერვალს აუღიათ იაპონელებს, მაგრამ რამდენიმე გახელებულ კონტრ-იერიშის გამო საბოლოოდ ვერ დამყარდნენ იქ 27 თებერვლამდეო. ფუშუნი აიღეს 24 თებერვალს საღამოთი.—ჯერ-ჯერობით გამოანგარიშებულია, რომ იაპონელთ დაჰკარგვიათ 33 აფიცერი, მოკლული, მძიმედ დაჭრილა 31 და მსუბუქად კი 56 კაცი.—გაზეთ „კოკუმინ"-ის ცნობებით, იაპონიის კალონას, რომელმაც ფუშუნი დაიჭირა, ეხლა კიდევ რუსებზე იერიში მიაქვს აქეთკენვე; ამავე დროს იაპონელები გამოჩნდნენ მუკდენ-ფუშუნის რკინის გზის [illegible] დასავლეთით და მზად არიან იერიში მიიტანონ რუსებზე.

ლონდონი, 28 თებერვალი. გამოაქვეყნეს იაპონიის მისიის ტოკიოელი დეპეშა, 28 თებერვლის თარიღით. იაპონიის ჯარები მისდევენ რუსებს ჩრდილოეთით ყოველ მხრივ და საშინელ ზარალსაც აძლევენ. ჩრდილოეთით მუკდენიდან რკინის გზის გასწვრივ იაპონელებმა იპოვნეს აუარებელი პოვოზკა სამხედრო სურსათით და სხვა საომარ იარაღით.

ტელინი, 28 თებერვალი. კურაპატკინმა დაათვალიერა გამაგრებული პოზიციები და ჯარები. რკინის გზით დაჭრილები გადაჰყავთ. ჯარი ყოჩაღადაა.

ტოკიო, 28 თებერვალი. იაპონელები ბრძოლის ველს ასუფთავებენ, მიჰყავთ დაჭრილები და ჰკრებენ მოკლულთ. ბრძოლის ბოლოს რუსებმა საშინელი იერიშები მოიტანეს იაპონიის ცენტრის წინააღმდეგ, მაგრამ ფუჭად ჩაუარათ.

ლონდონი, 24 თებერვალი. რამდენი იზარალა რუსებმა სინცზინის მხარეს, ჯერ არაა გამორკვეული. თუმცა რუსებმა დასწვეს საწყობი მაძიატუნსა და სხვა ადგილებში, მაგრამ იაპონელებს მაინც შეხვდათ აუარებელი საკვები და საომარი სურსათი, და საზოგადოთ ბევრი საომარი მასალა.

ბერლინი, 28 თებერვალი. ინგლისის კორესპონდენტების ცნობით, პარასკევს, რუსეთის არმიის თვალწინ ააფეთქეს ხუნხეს ხიდი და რუსებმა უკან დახევა იწყეს ტავის მიდამოებიდან. იაპონელები ესროდნენ რუსებს შრაპნელს, რამაც მხოლოდ წუთიერი არეულობა მოახდინა. თითქმის ყოველგან განსაცვიფრებელი გულ-გრილობით იბრძოდნენ რუსები.

ბაქო, 28 თებერვალი. გენ.-გუბერნატორმა მთელ ბაქოს გუბერნიის მიდამოებში გამოაცხადა საერთო დამნაშავობისაგან დაუქვემდებარა სამხედრო სასამართლოს ომის დროის კანონებით დასასჯელად შემდეგი დანაშაულობა: შეიარაღებული წინააღმდეგობა მთავრობისა, ასაფეთქებელ ნივთიერებათა ხმარება ბოროტ-განზრახვით, თავდასხმა ჯარში მოსამსახურეებისა, პოლიციისა და ყველა სამსახურის კაცთა, თუ ამ თავდასხმას მოჰყვა მკვლელობა, მკვლელობის ჩადენის განზრახვა, დაჭრა, დასახიჩრება, გადახვა, ცეცხლის წაკიდება და აგრეთვე სამსახურისა და არა სამსახურის პირებზედაც დაცემა, თუ ეს დაცემა ჩადენილია იმ აზრით, რომ ძალა დაატანონ კანონის წინააღმდეგ მოქმედებაზე. ქალაქში სიმშვიდეა. ბაქოს საზოგადო სამმართველო სწირავს ბაქოში დაშავებულთა სასარგებლოდ 50,000 მანეთს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან".
28 თებერვალი

ტოკიო, 27 თებერვალი (რეიტ.). იაპონიის ხალხი თავდაჭერით მიეგება გამარჯვებას. არა ჩვეულებრივი სიმშვიდეა. ხალხს მოუწოდეს, დღესასწაულისა და დროის გატარების მაგივრად ფული ომის საჭიროებას შესწირონ. ამ მოწოდებას უხვი შემოწირულება მოჰყვა. გაზეთები ამბობენ, რომ იაპონია განაგრძობს ომს და არ მისცემს წინადადებას ზავის ჩამოგდებაზე არც პირდაპირის გზით და არც ვინმეს საშუალებით.

ლონდონი, 27 თებერვალი. „მორნინგ-პოსტი" იტყობინება შანხაიდან, რომ რუსეთისა, საფრანგეთისა და გერმანიის შორის შეთანხმება არსებობს მანტუნისა, კვანსის, მანჯურიისა და მონგოლიის შესახებ. ამ სახელმწიფოებს ვითომ ჩუმ-ჩუმად მოლაპარაკება აქვთ ჩინეთის მთავრობასთან.

ბერლინი, 27 თებერვალი. „ვოლფის სააგენტო" ოფიციალურად აცხადებს, რომ „მორნინგ-პოსტ"-ის ცნობა, ვითომც რუსეთსა, საფრანგეთსა და გერმანიას ჩუმ-ჩუმი შეთანხმება მოეხდინოთ შორეულ-აღმოსავლეთის შესახებ, ყოვლად უსაფუძვლოა. არავითარი ჩუმი შეთანხმება არ არის ხსენებულ სახელმწიფოთა შორისაო.

ტოკიო, 28 თებერვალი (რეიტ.). ოიამას მოხსენებით, იაპონელები მისდევენ რუსებს ჩრდილოეთისკენ. რუსები ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ. მუკდენის ჩრდილოეთით იაპონელებმა დაიჭირეს სივრცე 25 მილის მანძილზე. სინმინტინში დაიჭირეს რუსის პორტ-არტურელი აფიცერი, რომელსაც დაურღვევია პატიოსანი სიტყვა და არ წასულა სამშობლოში. სინმინტინშივე დაიჭირეს სურსათი, რომელიც რუსების თვის ყოფილა დანიშნული.

პეტერბურგი, 28 თებერვალი. უქვეშევრდომილესი დეპეშები გენ-ადიუტანტის კუროპატკინისა 28 თებერვლის თარიღით: „განუწყვეტელმა ბრძოლამ, რომელიც დიდხანს გაგრძელდა, ხელიდან გამოგვაცალა მარტო დაჭრილი 50000 კაცი. მუკდენიდან უკან დახევა [illegible] ში. მოწინავე ჯარი სრული წეს-რიგით მიდიოდა და ჩერდებოდა მხოლოდ იმ პოზიციებზე, რომლებსაც მას უჩვენებდნენ; ქარავანს კი უძნელდებოდა სიარული, რადგანაც იაპონელთა არტილერია განუწყვეტლივ ესროდა მანდარინის გზას. დღისით უგზო-უკვლოდ მოვდიოდით. რადგანაც მუკდენსა და ტელინს შორის რამდენიმე მდინარეა ფრიალო ნაპირებით, ამიტომ ქარავანი, რომელიც უგზო-უკვლოდ მოდიოდა, იძულებული იყო შეჩერებულიყო და ელოდნა, სანამ გადასასვლელად რიგი არ შეხვდებოდა, რაც ღამით ბრკოლდებოდა, მიუხედავად მიღებულის ზომებისა. როცა ჩვენმა მტერმა გამოილაშქრა, მას დიდი მაშველი ჯარი მოუვიდა მაშინ. როგორც მოკლულების დათვალიერებამ და დატყვევებულთა შეკითხვამ გამოარკვია, ჩვენს წინააღმდეგ სამს არმიას გარდა მიიღო მონაწილეობა ნოგის მთელმა არმიამაც. ამას გარდა მუკდენთანვე იყო გამოწვეული წილი ახლად დაარსებულ დივიზიებისა. რადგანაც იაპონიისათვის ადვილია ზღვით შეავსოს თავისი არმია, ამიტომ მას ბევრგან მეტიც ჰყავს ჯარი. ამას გარდა იაპონელებს იმთავითვე კარგად მოწყობილი ჰყავთ მზვერავთა რაზმი, რის გამოც იმათ ყოველთვის იციან, თუ სადაა დაბინავეული ჩვენი ჯარი". 27 თებერვლის თარიღით: „როგორც მოწინავე ჯარების უფროსი იტყობინება, ჩვენის წინა ჯარებიდან, ერთ ზარბაზნის სროლაზე, აღმოჩნდა მტრის ჯარი, ერთიდან ორ დივიზიამდე. დღეს არ მომსვლია ცნობა სერიოზულ შეტაკების შესახებ. მეორე არმიის წინა რაზმების უფროსების მოხსენებით, მუკდენიდან უკან დახევის დროს ყველაზე მეტად გაუძნელდა საქმე თქვენის უდიდებულესობის აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელთა პირველს პოლკს. ეს პოლკი იძულებული იყო გაევლო მტრის ცეცხლ-ქვეშ, რომელიც მოდიოდა არა მარტო დასავლეთიდან, არამედ აღმოსავლეთიდანაც. პოლკოვნიკმა ლუშმა გამოიყვანა მთელი პოლკი, 3 აფიცერი და 150 ჯარის კაცი და აგრეთვე ის ბატარეაც, რომელიც პოლკთან იყო. კიდევ ამაზე ადრე თქვენი უდიდებულესობის პირველმა პოლკმა დაჰკარგა ათას კაცზე მეტი 21 თებერვლის ბრძოლაში. რაც სხვა ჯარების ზარალს შეეხება, ამ მხრით ყურადღებას იქცევს იურიევის პოლკი მე-25 დივიზიისა, რომელშიაც ამ ჟამად 619 ხიშტი და ორი აფიცერი-ღაა.

ბათუმი, 28 თებერვალი. ბნიტოს ქარხანა იუწყება, რომ მას არ შეუძლიან დატვირთოს სანავთო გემი „არსს"-ი, რადგანაც ქარხნის გამგეობას ბჭობა აქვს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან მუშათა საკითხის მოსაწესრიგებლად.

სიმბირსკი, 28 თებერვალი. მეფაბრიკეთა და საფაბრიკო ინსპექციის ბჭობა აქვს მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ.

მოსკოვი, 22 თებერვალი. სხვა-და-სხვა გუბერნიების ერობათა ხმოსნებმა ტელეგრაფით მიჰმართეს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სთხოვეს მიიპატიჟოს სამინისტრომ ერობათა წარმომადგენლები იმ კომისიაში, რომელიც დაარსებულია 18 თებერვლის უმაღლეს რესკრიპტის თანახმად. სტროგანოვის სამხატვრო სასწავლებელში განახლდა მეცადინეობა.

ფილადელფია, 28 თებერვალი. გაზეთები იუწყებიან, რომ ამერიკამ ვენეცუელის განსუდმა გაუგზავნა რუზველტს პროტესტი, რომელშიაც აცნობებს, რომ ვენეცუელის საიდუმლო პოლიციამ მიაგნო ფილადელფიაში სერიოზულ მზადებას ვენეცუელის რესპუბლიკის პრეზიდენტ კასტროს წინააღმდეგ ასაჯანყებლად. ფიქრობენ გაგზავნონ ვენეცუელაში გემი, იარაღით დატვირთული.

პეტერბურგი, 28 თებერვალი. პირველი საგვარდიო საკავალერიო დივიზიის უფროსი გენ.-ლეიტენანტი თავადი ოდოევსკი-მასლოვი დაინიშნა დონის ჯარების ნაკაზნოი ატამანად.—უსტ-მედვედიცის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე იაზიკოვი დაინიშნა კურსკის სასამართლოს თავმჯდომარედ.

პეტერბურგი, 28 თებერვალი. 9 თებერვლიდან დაწყებული შეამჩნიეს კურსკის გუბ. დმიტრიევის მაზრის გლეხებში მოძრაობა. 18 თებერვალს გლეხებმა აიკლეს გაჭარ ზირიკინის კარ-მიდამო და წაიღეს განსაკუთრებით თივა და პური. ამ გამარჯვებით წაქეზებულნი, ისინი გაემართნენ ბარონებ მეიენდორფების კარ-მიდამოებისაკენ ორლოვის გუბერნიაში, საქედან ბრბო 2000-მდე კაცი წავიდა ჩერნიგ. გუბერნიის გლუხოვის მაზრაში, გაძარცვა და დასწვა სოფ. მიხაილოვსკაში ტერეშჩენკოს შაქრის ქარხანა, გაძარცვა-რა გზა-და-გზა ხუთი კარ-მიდამო მემამულეებისა. მოვიდნენ კურსკიდან, ორლოვისა და ხერსონის გუბ. [illegible] მოიყვანა თითო ესკადრონი ქვეითი და ორი ესკადრონი კავალერიის ჯარი და მოძრაობა მაშინვე მოისპო. ჯარს არც-კი უხმარია იარაღი. საკმაო იყო მათი დანახვა, რომ სიმშვიდე ჩამოვარდნილიყო. 23 თებერვლისათვის ყველგან აღდგენილ იყო წეს-რიგი. გლეხებმა ნაძარცვის უკან დაბრუნება იწყეს. რამდენიმე ასი კაცი დაიჭირეს. თუ თავის დროზე ჯარი ვერ მოვიდა, ეს იმის ბრალია, რომ ეს ადგილები დაშორებულია რკინის გზიდან 50 ვერსტით და კავალერია კიდევ შორსაა დაბინავებული.

ჟურნალ-გაზეთებიდან

დიდი ბრძოლა მუკდენთან. ჯერ კარგა ხანი გავა, სანამ ამ ისტორიულ ბრძოლის ამბავს დაწვრილებით გავიგებთ. გენ. კუროპატკინი იუწყება, მუკდენთან ბრძოლის დროს 50 ათას კაცამდე დაგვიჭრესო. მოკლულ და დატყვევებულ მეომართა რიცხვი კიდევა არაა მოხსენებული... ტოკიოდან იუწყებიან, დიდ-ძალი რუსი დავატყვევეთო...

გენ. კუროპატკინი მოახსენებს ხელმწიფეს, მოკლულ იაპონელთა გასინჯვითა და ტყვეების გამოკითხვით გავიგეთ, რომ ბრძოლაში სამ არმიის გარდა გენ. ნოგის მთელი არმიაც იღებდა მონაწილეობასაო. ამას გარდა, ახლად დაარსებულ დივიზიების ნაწილიც იბრძოდა მუკდენთანაო. ამას წინად „ნ. ფრ. პრესე"-ს სამხედრო მიმომხილველი სწერდა: თუ მზვერავები არ უვარგათ რუსებს, სააგენტოს დეპეშები მაინც წაიკითხონ ხოლმე; უეჭველია, რუსის მთავარ-სარდლამდეც მისდის ეს დეპეშები ჩანსიამუტუნშიო.

„რუსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო მიმომხილველი ბ. ს. კ. გენ. ოკუს არმიის მოქმედებასაც დიდ მნიშვნელობას აძლევს; გენ. ოკუ სოლივით შეიჭრა რუსის მარჯვენა ფრთასა და ცენტრს შუა, ერთმანეთს დააშორა და რუსის ცენტრს გვერდიდან მოექცაო.

„რუსი"-ს კორესპონდენტი კრასნოვი სწერს: სოფ. სახუდიაპუსა და ლანშანპუს (გენ. ოკუმ აიღო) აღების შემდეგ იაპონელებს შეეძლოთ რუსის ცენტრის მარჯვენა ფრთისათვის ზარბაზანი დაეშინათ, ამიტომ 19 თებერვალს ღამეს რუსის ცენტრის მარჯვენა ფრთამ ცოტა უკან დაიხიაო.

იგივე კორესპონდენტი ჯერ 18 თებერვალსვე ატყობინებდა „რუს"-სა: ჩვენი გრძლად გაჭიანურებული არმიები უფრო ახლო ერთი-ერთმანეთთან იკრიბებიანო, (ესე იგი უკან იხევენო).

რუსის განაპირა მარცხენა ფრთაც დიდ გაჭირვებაში ყოფილა ჩავარდნილი.

„რუს"-ის კორესპონდენტი ქაუტი სწერს: 18 თებერვალს ყველა მხრიდან ცნობა მოდიოდა, იაპონელები გენ. რენენკამფის რაზმის აქეთ-იქით ყველა გზასა და მის ბილიკზე ჯარსა ჰგზავნიან, უნდათ, ორსავე მხრიდან რაზმს მოარტყან. გენ. რენენკამფი მართლა ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი...

გენ. კუროპატკინი ჯერ, მარცხენა ფრთაზე, გენ. ლინევიჩის არმიაში, (გენ. კუროკის პირ-და-პირ) იყო, მერე კი გენ. ნოგის დასავლეთიდან მოულოდნელმა თავდასხმამ და მუკდენის წინ გაიწვია, გენ. კუროპატკინიც იქით წავიდა და თითონ წინამძღოლობდა ჯარს და გენ. ნოგის დაძრულ ჯარსა და მომწყვდევას ცდილობდა, ისე, როგორც ლიაოიანთან გენ. კუროკის და მარცხენა ფრთის ცდილობდა... „რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტი ლოდიჟენსკი სწერს: 22 თებერვალს მუკდენის დასავლეთით, თითონ რუსის მთავარ-სარდალი მივიდა და თავის ამალითა და კაზაკით ჯარების დასათვალიერებლად წავიდა. მთავარ-სარდალმა გამოთქვა ბრძოლის ამბავი და მითხრა რუსის საზოგადოებას სიმართლე შეატყობინეთო.

იმავე გაზეთის კორესპონდენტი გარინი იუწყება: როცა მთავარ-სარდალი ბრძოლის ველზე მივიდა, (მუკდენის დასავლეთით) ყველანი აღტაცებით მიეგებნენ, სალდათები სანგრებიდან გამოძვრნენ და „ურას" ძახილით ეგებებოდნენ მთავარ-სარდალსაო.

კორესპონდენტების დეპეშებიდან ცხადად სჩანს, რომ რუსებს 26 თებერვლამდე თითქმის კამარჯვება უდლესაფუძნელიაო. „რუს"-ის კორესპონდენტი სწერს: მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე ჩვენმა ჯარის გამარჯვებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მუკდენში ჩინელებზე. რუსული გაზეთი „შენ-ცზინბაო" (ჩინურ ენაზე გამოდის) მუკდენში ყოველ დღე დაწვრილებით ატყობინებს თავის მკითხველებს ბრძოლის ამბავს. [illegible]
ნეტავ 24 თებერვალს რაღა ამბავს შეატყობინებდა ჩინელებს ეს გაზეთი.

იგივე კორესპონდენტი სწერს: ყველანი კარგ, მხიარულ გუნებაზე არიან და გამარჯვების იმედი აქვთო.

რუსის ჯარის უკან დახევა. ლიაოიანის შემდეგ გენ. კუროპატკინმა მთელი ქვეყნიერობა გააკვირვა „გენიალურ" უკან დახევით; მაშინ თითონ გენ. კუროპატკინიც იუწყებოდა, ჩვენმა ჯარმა ისეთის სრულის წესითა და რიგით დაიხია მუკდენისაკენ, რომ იაპონელებმა გამოკიდებაც ვერ გაბედეს, უელოდ თან წამოვიღეთ და იაპონელებს არავითარი სამხედრო ტალა არ დავუტოვეთო. თუმცა მერე მოუდგომელმა კორესპონდენტებმა ცოტა სხვანაირად ასწერეს ეს უკან დახევა და თან დაუმატეს, იაპონელები რომ 10 დღის ბრძოლით დაღალულები არა ყოფილიყვნენ, საქმე სულ სხვანაირად დატრიალდებოდა, მაგრამ მაინც ბევრმა სამხედრო მიმომხილველმა აღიარა, გენ. კუროპატკინმა დროზე დაიხია უკან და დიდის მოხერხებით გაუსხლტა ხელიდან იაპონელებსაო. „ნოვოე ვრემია"-ში ერთი რუსის პატრიოტი ამტკიცებდა, ეს ისეთი შესანიშნავი უკან დახევა იყო, რომ მთელ ისტორიაში უნდა ღირსსახსოვარი იყოსო. ბევრი რუსული გაზეთი უკიჟინებდა იაპონელებს, რა მოიგეს ლიაოიანის აღებით, ცარიელი პოზიციები დარჩათ, ჩვენ ჯარს არა თუ გზა ვერ მოუჭრეს, ვერც-კი დაედევნენო, გამარჯვების სიტკბოება ვერ იგემესო. ენახოთ, ეხლა რას იტყვიან, მაგრამ დეპეშებიდან ცხადად სჩანს, რომ ეხლანდელი უკან დახევა „გენიალურად" აღარ ჩაითვლება. ეტყობა, რუსის მთავარ-სარდალმა მარჯვე წამი დაჰკარგა და უკან დახევა დაიგვიანა, ისე როგორც გენ. ზასულიჩმა ტიურენჩენთან და გენ. შტაკელბერგმა ვაფანგოუსთან. სანამ რუსის მთავარ-სარდალი გენ. ნოგის მუკდენის დასავლეთით და ჩრდილოეთ-დასავლეთით ებრძოდა და იმის დამარცხებას ცდილობდა, თითონ გენ. ნოგის მარცხენა ფრთა და დანარჩენ არმიების მოწინავე რაზმები თითქმის რკალივით შემოერტყნენ რუსის არმიას და მუკდენთან მომწყვდევას უპირობდნენ. 24 თებერვალს საღამოთი რუსის არმიამ უკან დახევა დაიწყო და 28 თებერვლამდე ტელინამდე მისულა. მაგრამ ვაი ამ მისვლას. რუსის ჯარი რამდენსამე რაზმად მოდიოდა რკინის გზასა და შარა გზებს შუა; აუარებელი ჯარი თავის არტილერიით და დაურიცხავ ქარავნით (ფურგუნები, პოვოზ-

კები) სულ 9 ვერსტის სიგანე ადგილზე იყო თავმოყრილი.. და ისე ჯგუფად მიდიოდა ჩრდილოეთისაკენ. აქეთ-იქით გვერდში იაპონელები მისდევდნენ და ზარბაზნის სროლით საქმეს უჭირვებდნენ. დღევანდელ დეპეშებიდან დაინახავთ, რა საცოდავობა გამოუვლია რუსის ჯარს გზაში; სამხედრო ქარავანს ხომ სულ თავზარი დასცემია... იაპონელებს რუსის რაზმებისათვის ბევრგან წრე შემოუვლიათ და დაუტყვევებიათ. ზოგი რაზმი სულ გაუნადგურებიათ. გენ. კუროპატკინი იუწყება, ციმბირის პირველ მსროლელთა პოლკში მხოლოდ 3 აფიცერი და 150 სალდათი გადარჩა, იურიევის პოლკში მხოლოდ 619 სალდათი და 2 აფიცერიო. რუსის ჯარს თოფის პატრონები სულ გზაში გადაუყრია, ყველგან გზაში, თუ პოზიციებზე ხროვა-ხროვა ჰყრია პატრონაო. მუკდენში იმდენი სამხედრო დავლა ჩაიგდეს ხელში იაპონელებმა, რომ დიდხანს მოუნდებიან იმის გამოკვლევასაო. მაძიადიანშიაც (ფუშუნის გზაზე) დიდძალი თივა, ქერი და სამხედრო სურსათი ჩაუგდიათ ხელში. ამას გარდა, რუსებს უკან დახევის დროს უვარებელი სურსათი დაუწვავთ სხვა-და-სხვა ადგილას... ეხლა ვეღარავინ იტყვის, რომ იაპონელები ვერა სარგებლობენ გამარჯვებით და დამარცხებულ მტერს ვერა სდევნიანო.

ტელინი. რუსის სამივე არმია ტელინთან (მუკდენის ჩრდილოეთით, 70 ვერსზე) მისულა და წინადვე გამაგრებულ პოზიციებზე დამდგარა. ეს პოზიციები გენ. კუროპატკინმა ლიაოიანის შემდეგვე გაამაგრებინა. იქ ისეთი მაგარი პოზიციებია, რომ ტელინს სამხრეთ-მანჯურიის „თერმოპილს“ ეძახიან. გენ. კუროპატკინს ჯარი და პოზიციები დაუთვალიერებია. ვნახოთ ამ პოზიციებზეც მოხდება სისხლის ღვრა, თუ რუსის ჯარი უბრძოლველად დაიხევს უკან. იაპონელებიც თანდათან მისდევენ. გენ. ნოგის მარცხენა ფრთა ჯერ კიდევ 20 თებერვალს მიუახლოვდა ტელინს და იმისი მოწინავე რაზმი სულ 20 ვერსტზე იდგა ტელინიდან, რკინის გზის პირად; დანარჩენი არმიებიც გაემართნენ ტელინისაკენ; გენ. ნოგის არმია სამხრეთ-დასავლეთიდან მიდის, ზოგი ჯარი სამხრეთიდან, ზოგი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და ბოლოს სამის მხრიდან რკალივით შემოერტყმიან რუსის პოზიციებს. მარშალი ოიამა იუწყება, მუკდენის ჩრდილოეთით 37 ვერსტის მანძილზე ადგილები სულ იაპონელებს უჭირავთო. გენ. კუროპატკინი სწერს: 27 თებერვალს იაპონელთა ერთი დივიზია ჩვენს მოწინავე რაზმებს მოუახლოვდა ზარბაზნის სროლაზეო.

ინტელიგენციის მოვალეობა

1.

ჩვენის ქვეყნის მყუდროება შეირყა. სოფლად თუ ქალაქად, მთად თუ ბარად ცხოვრებამ ყველგან გაარღვია მშვიდობიანობის კალაპოტი და არეულობის მძლავრი ტალღა აბობოქრებული ებრძვის ისტორიას. განსაცდელი საათობით იზრდება. ადამიანი სათნოიანი არსებაა, მაგრამ არც სათნოების ფიალაა უძირო. გესლითა და შხამით მოწამლული ბუნება ადვილად ჰკარგავს სამართლიანობის საზომს და, თუ ადამიანის იდეალურს მისწრაფებას დროზე არ მიეცა სახსარი გამოქვეყნებისა, იგი ისეთს გონჯს ფორმებს ჰქმნის მოქმედებისათვის, რომელიც თვით უწმინდესს იდეალურ მისწრაფებათა სავანეს—ადამიანის გულსა და სიცოცხლეს ებრძვის და ჰკლავს... ძველის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრების ფორმათა ნაცვლად ახალის ფორმების დამყარების ხანა ისტორიული ავადმყოფობაა, რომელსაც გულ-მტკივნეულის მზრუნველობით და მამულიშვილურის თავგამოდებით მოვალეა მოუაროს ხალხის განათლებულმა ნაწილმა და, თუ საჭიროებამ მოითხოვა, მალამოდაც დაედოს ზედ. ყოველი აუცილებელი ისტორიული ავადმყოფობა უპირველესად და უძლიერესად ხალხის მოწინავე და საუკეთესო ნაწილს იპყრობს, რომელმაც სწორედ ამ მიზეზით არ უნდა დაივიწყოს, რომ იგი ვალდებულია გონიერებისა და კაცობრიობის პრინციპის მეოხებით, რამდენადაც შესაძლო იქნება, მშვიდობიანი გზა გაუკაფოს ისტორიულ ავადმყოფობის პროცესს.

ჩვენს დღევანდელს არეულს ცხოვრებას ათასი სათავე აქვს. საადმინისტრაციო აპეკის სისტემა, გარუსების პოლიტიკა, მიწათმფლობელობის დრო-მოჭმული ფეოდალური მოწყობილება, მუშათა კლასის ინტერესების უარ-ყოფა, მოქალაქურ უფლებათა უქონლობა, საფინანსო პოლიტიკის უკუღმართობა, ომიანობის უნიადაგობა, პიროვნების სისტემატიური ჩაგვრა და მრავალი სხვა ჭირვარამი ამჟამად ყველა ერთად არის შედუღებული ინსტიქტიურის სინტეზით, ყველა ერთად არის გამონასკვული გამანადგურებელ უარყოფის აზრში. რაც უფრო მაგრად გამოინასკვება ხალხის გულში უარყოფის აზრი, მით უფრო სასტიკი და სახიფათო ოპერაცია შეიქმნება საჭირო შემდეგში ცხოვრების ჩასაყენებლად ნორმალურს მშვიდობიანობის კალაპოტში. ვიდრე რუსეთისა და ჩვენის ქვეყნის ინტელიგენციას შესაძლოდ მიაჩნდა დინჯად და აუმღვრევლივ გამოეკვლია ცხოვრების საჭიროებანი და გულახდილად ეჩვენებინა უმაღლესის მთავრობისთვის ღონისძიებანი ისტორიულ კრიზის თავიდან ასაცდენად, იმას ადმინისტრაცია პირში ბურთსა სჩრიდა და ნაძალადევს გაჩუმებას ხანგრძლივის მშვიდობიანობის ნიშნად აღიარებდა. უეჭველია, ნდობის პოლიტიკა რომ თავის დროზე გამოცხადებულიყო, დღეს რუსეთი ეხლანდელს განსაცდელში არ იქნებოდა... მაგრამ, გზის აღმოჩენა მას შემდეგ, რაკი ურემი გადაბრუნდება, ერთის ქართულის ანდაზისა არ იყოს, არც ძნელია და არც საჭირო. რაც იყო, იმას ვეღარ შევცვლით, დავანებოთ თავი წარსულს, დეე წარსული წარსულად დარჩეს.

დღეს, ჩვენს წინაშე, საქართველოს მიწა-წყლის შვილთა გონებაში გამონასკული აზრი ეხლანდელის ცხოვრების უვარგისობისა და რეფორმათა აუცილებელ საჭიროებისა [illegible] მისწრაფებათა სოციალური სამფლობელოს და ქართველი ინტელიგენცია ღრმად და მწარედ არის ჩაფიქრებული იმ საშინელების სურათისა გამო, რომელსაც მომავალი გვიქადის. ცეცხლს ნავთი ვერ ჩააქრობს და ხალხს ჩვეულებრივი ზომები ვერ დააშოშმანებს, პირიქით უფრო გაამძაგებს და გაამწარებს. ისტორიამ უკან დახევა, განვლილ მდგომარეობისკენ დაბრუნება არ იცის, იგი მუდამ წინ მიდის. ვიდრე ისტორიული მომენტი ხალხის გონებაში უარყოფითის იმპერატივის გაჩენით ხასიათდება, ამაო იქნება ყოველივე ცდა იმ საშინელების გზის აქცევისა, რომელსაც არეულობის ტალღა ამზადებს. უარყოფა პირველი და ამასთანავე უდიერი გვერდია თავისუფლებისა; თავისუფლება თავისთავად უშინაარსო ცნებაა, იგი უარჰყოფს და არაფერს არ ითხოვს, მაგრამ მუდამ მზად არის თავის მფარველობის ქვეშ მიიღოს ყოველივე პროგრესიული მისწრაფება. ისტორიულად უარყოფის იმპერატივი იმ დრომდე იქნება გამანადგურებელის ხასიათისა, ვიდრე თავისუფლება შესაფერ შინაარსის პროგრესიულს იდეალს არ გაიჩენს. ის ნიადაგი, რომელზედაც სჩნდება უარყოფა, უნდა გადიქცეს პროგრესიულ იდეალის წყაროდ, და მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლოდ მოისპოს უარყოფის იმპერატივის გამანადგურებელი მოქმედება. აქ ჩვენ იმ პრაქტიკულ იდეალზე ვლაპარაკობთ, რომელიც ახლო მომავალში უნდა განხორციელდეს.

ეხლანდელის ცხოვრების მოზღვავებული ტალღა იქ, სადაც ხალხს ჯერ ვერ დაუძლევია უარყოფის მომენტი და ვერ მიუგნია შესაფერ პრაქტიკულ იდეალისთვის, აუცილებლივ განურჩევლად და უსამართლოდ მიაწყდება ყოველს, რაც კი წინ დაჰხვდება, და ცეცხლის ალში გაჰხვევს არე-მარეს. ინტელიგენცია მოვალეა, სამშობლოს წინაშე, ანგარიში გაუწიოს ამ სასტიკს მდგომარეობას და რაც შეიძლება მალე შეავსოს ხალხის გულში გაჩენილი უარყოფის ანუ თავისუფლების იმპერატივი დროის შესაფერის პრაქტიკულის იდეალით. ყოველივე სხვა საშუალება ხალხის გამანადგურებელ მისწრაფების შესაჩერებლად, ჩვენის ფიქრით, იქნება უნაყოფო და რეტროგრადული. ჩვენის ქვეყნის იმ ნაწილებში, სადაც უფრო განათლებული და გონება-მახვილი ხალხი სცხოვრობს, მომავლისკენ მისწრაფება და სურვილი ცხოვრების განახლებისა არ არღვევს სამართლიანობის პრინციპს და ცეცხლითა და ბოროტ-მოქმედებით არ ემზადება მომავლისთვის, პირიქით, იქ რიგსა და წესს თითონ ხალხი სდარაჯობს და ისე ნაყოფიერად, რომ გასაგონადაც კი საამურია. ასეთივე წესიერება დამყარდება ყველგან, სადაც ხალხის უკმაყოფილებას პრაქტიკული იდეალური მოთხოვნა სერიოზულს შინაარსს მისცემს.

როგორც აქა-იქ მოვკარით ყური, ტფილისის ქართველ ინტელიგენციას განუზრახავს ამ მოკლე ხანში მოახდინოს ყრილობა და იქონიოს მსჯელობა დღევანდელს გაჭირვებულ მდგომარეობისა და იმ ღონისძიების შესახებ, რომელსაც შეუძლიან ჯეროვანის სამართლიანობის ხასიათი მისცეს ხალხის მოძრაობას. ეს ყრილობა პროგრესის ნიშანია. ამ ყრილობით ინტელიგენცია რამდენადმე აასრულებს მოვალეობას ხალხის წინაშე და ამასთანავე შესძლებს ღირსეულად მოიხმაროს მთავრობისაგან 18 თებერვალს უმაღლესის ბრძანებით მინიჭებული უფლება, უშუამავლოდ და პირდაპირ უმაღლესს მთავრობას წარუდგინოს მოსაზრებანი და განზრახულებანი სახელმწიფოს კეთილ-განწყობისა და ერის კეთილ დღეობის გაუმჯობესობის შესახებ.

. რ.

გურიის ამბები

5.

ასკანა, თებ. 25.

25 თებერვალს სულთან-კრიმ გირეი გაემგზავრა ბაილეთის საზოგადოების სოფ. ასკანას. ასკანა—ლამაზი სოფელია, აჭარის სერის ძირში მიფანტ-მოფანტული სულ 360 კომლამდე გლეხი სცხოვრობს იქ, მიწა წყლით მეტად შევიწროებული. მიწა მეტად მოუსავლიანია და, ვიწროობის მიუხედავად, მცირე პირველ-ხარისხის ადგილი ფასობს ქცევა 100 მ., საშუალო—50 მ. და უვარგისი—15—20 მან., იმდენად მოუსავლიანია აქაური ადგილები—უმეტესად ეწრები და მწირე მიწა. სიმინდის მოსავალი ორ თვესაც არა გვყოფნის, ორთაშუა რიცხვით მოსახლე გლეხზე 2—3 ქცევა ადგილი მოდის,—შემოჩივლეს გლეხებმა,—წელზე ფეხს ვიდგამთ და სულს ძლივს ვითქვამთო. აქაური მცხოვრებლები, მამა-კაცები, მრავლად არიან გასულნი გარედ, სარჩოს საშოვარად ქარხნებსა და შავი ზღვის ნავთსადგურებში გემების დამტვირთველებად. ხელობის მცოდნე ხალხი მეტად მცირეა ასკანაში. სიმინდი და ვენახი ერთად ერთი ცხოვრების წყაროა მათი. როცა არაყზე ნაკლები ბაჟი იყო, ცოტას არაყი შველოდათ. ბაჟის მომატების შემდეგ კი სრულებით აიღეს გლეხებმა ხელი მეურნეობის ამ დარგზე.

ხალხი დაგვხვდა პაწია გორაკის წვერზე. ეკკლესიის მახლობლად მინდორში თავმოყრილი სულ 600 კაცი, ქალი და ბავშვი იქნებოდა. პირველ შეხედვაზედვე შევატყობდით, რომ სიღარიბეს, შიმშილს წელში არ მოეტეხა ხალხი. ერთს კაცს ვერ ნახავდით პირ-მსუქანს, ყველას მზისა და მუშაობისგან სახე დამწვარი ჰქონდა, მაგრამ ამ სახეს ანათებდა გონიერი, ჭკვიანური თვალები. ნათლად შევატყობდით ყველას, რომ კარგად შეგნებული ჰქონდათ, რისთვის მოეყარათ თავი, ყველანი მზად იყვნენ ხმის ასამაღლებლად, პასუხის გასაცემად. სულთან-კრიმ-გირეის დაუკრეს თავი ზრდილობიანად და ღირსეულად, როგორც თავის სწორ ადამიანს. ჰხედავდით თქვენ თვალწინ ღარიბ, პირხმელ, მშიერ ხალხს და სიბრალულს არა გრძნობდით მათდამი, რადგან საერთო გულის წადილმა, საზოგადო მისწრაფებამ გამართა ისინი წელში, გაბედულ-შუქით გაუნათა თვალები, ადამიანის ნამდვილი ღირსება შეაგნებინა.

ჩვენ ავედით ორ-კლასიან სკოლის აივანზე. კრიმ-გირეიმ სიტყვით მიმართა ხალხს, რომლის შემდეგ ხალხმა აარჩია 14 წარმომადგენელი მასთან მოსალაპარაკებლად. პირველად დაიწყო ლაპარაკი საშუალო ტანის, ასე 25 წლის ახალგაზდა გურულმა. ხმა რომ ამოიღო, მაშინათვე შევამჩნევდით, რომ იგი მოწყალებას კი არა სთხოვს, მოთხოვნილებას უცხადებს მთავრობისაგან გამოგზავნილ მოხელეს. „პირველი ჩვენი საჭიროება—მიწა და მიწაა, სთქვა ახალგაზდა ორატორმა. ისეთი მცირე ადგილი გვაქვს, ზედ რომ გავწვეთ, თავი სხვის ადგილში გვექნება და ფეხები სხვისაშიო. ჩვენი შრომით და ოფლით სხვას ვარჩენდით, სხვის—მემამულეების—ყმები ვიყავით და ბოლოს გადავწყვიტეთ ამ საუკუნო უღლის გადაგდება. გვეგონა, მთავრობა ხელს შეგვიწყობდა, დაგვეხმარებოდა გასაჭირში, [illegible] გაფიცვას აჯანყებად არ ჩასთვლიდა, მაგრამ მწარედ მოვსტყუვდით. პოლიციამ ცხარე მათრახები გადაგვაწნა გაფიცულთ, უსაქმო ხალხის გასუქების არ მსურველთ, და ნათლად დაგვანახვა, რომ მას ჩვენი მტრების მხარი უჭირავს, ჩვენი დაჩაგვრა სწყურიაო.

ამაზე კრიმ-გირეიმ უთხრა ორატორს, აქამდე ასე იყო, სამწუხაროდ, ამას აქეთ მთავრობა ეცდება დაგეხმაროთო.

— არა გვაქვს ამისი იმედი,—უპასუხა ორატორმა, მხოლოდ იმას ვხედავთ, რომ აქამდის მთავრობა ყურადღებას არ გვაქცევდა და ახლა ჩვენ რომ გამოვიღვიძეთ, ისიც იღვიძებს. გიცხადებთ, რომ მოგვწყინდა სხვის, მუქთა-მჭამლების, ნალიებში ჩვენის ნაოფლარის ზიდვა, და გადაწყვეტილი გვაქვს ამიერიდან ჩვენ ნალიებში მაინც ვზიდოთ ჩვენი ნაშრომი, რათა ნახევრად მაინც მოვიკლათ შიმშილი. დროებით ვალდებულებმა დიდის გაჭირვებით გამოისყიდეს მამულები მებატონეებისაგან, იმ ადგილის ფასი, რომელშიაც თავის ოფლს ღვრიდნენ, სხვას, მუქთა-მჭამელს მისცეს და ვთხოულობთ დაუბრუნონ ეს ტყუილად გადახდილი ფული. მიწაცა და ნამუშევარიც მუშის, მშრომელის უნდა იყოსო.

სიტყვა რომ დაასრულა, დაიწყო ლაპარაკი მეორე ახალგაზდამ. მისი სიტყვა-პასუხი მწარე ირონიით იყო სავსე და ამავე დროს ბაგეებზე მწუხარე და თან დამცინავი შუქი დაკრთოდა. მეტად საყვარელი ადამიანი იყო ეს ახალგაზდა გურული. „აი რა მდგომარეობაში ჩააყენეთ თქვენ თქვენი მოძმე, ადამიანი“,—მეტყველებდა თვითეული მისი სიტყვა და მწარე ისარივით ესობოდა მსმენელის გულს. ეს იყო მკაცრი, სამართლიანი პროტესტი დიდიხნის განმავლობაში მდუმარედ აღზრდილ ადამიანის გულში და ახლა, როცა მოთმინების ფიალა აივსო, მწარე სიტყვებში, გადმოხეთქილი. „ჩვენ შორის არიან დროებით ვალდებულნი, ეგრედწოდებული ნაყმევნი,—დაიწყო ორატორმა. გათავდა ბატონ-ყმობის დრო და ეხლა ყველა თანასწორია, ყველა ადამიანი, და ნაყმევს თავის ოფლით მორწყული ნადელი საკუთრად უნდა მიეცეს. სახელმწიფო და საეკკლესიო გლეხიც ამგვარ მდგომარეობაშია.—იგიც სახელმწიფოს და ეკკლესიის ყმებია და ამ ყმობისაგან განთავისუფლებას ვითხოვთ. ვინც შრომობს, ადგილიც იმის იყოს. ჩვენ ვუერთდებით მთელ რუსეთის გაჭირვებულ, მშრომელ ხალხს. მისი გაჭირვება ჩვენი საერთო გაჭირვებაა და მისი მოთხოვნილება—ჩვენი საერთო მოთხოვნილებაა. დიდიხნის მოთმინებამ და გაჭირვებამ გვასწავლა, რომ მხოლოდ გაჭირვებულთ შეუძლიანთ უშველონ თავიანთ თავს ერთობით, ძმობით და სხვებისაგან შველას ჩვენ არ მოველით. რა შველას უნდა მოველოდეთ იმათგან, რომელნიც უკანასკნელ ავეჯს და სიმინდს გვიყიდიან გადასახადში. აპა, მობძანდით და ნახეთ კანცელარიაში მოგროვილი ჩვენი ღარიბული ნივთები. გროში რომ არ გვებადა, საბანი აგვხადეს და უკანასკნელი ლეიბი მოგვტაცეს გასასყიდად“.

— რატომ არ იჩივლეთ?—ჰკითხა კრიმ-გირეიმ.

— ბევრჯელ მივმართეთ, მაგრამ ყურიც არ გაუპერტყიათ. მთავრობის მოხელეებისაგან ამის მეტი არაფერი გაგვიგონია: „სადილი, მალე სადილი!“ როცა მობძანდებოდნენ და ნასადილევს—„ცხენი, მალე ცხენი“,—როცა მიბძანდებოდნენ.

ხალხში ამ სიტყვებზე სიცილი გაისმა. ცრემლით მორწყული იყო ეს სიცილი. იქ, სადაც სხვაგან ზიზღს გამოუცხადებდნენ ხალხის ფულით მაძღართ, ხალხი მხოლოდ მწარე ირონიით იხსენიებდა მოხელეებს, რომელთაც ფუჭი ერთად-ერთ სათაყვანებელ კერპად გაუხდიათ.

სირცხვილი არ არის,—სთქვა ორატორმა, მემამულეს ცხენი ჩვენ სახლებზე უკეთეს კონახში სცხოვრობსო? ისეთის კილოთი იყო ეს ნათქვამი, რომ ადამიანს ჟრუანტელი დაუვლიდა ტანში. ქვეყნის მარჩენალი გლეხი პირუტყვზე უარეს მდგომარეობაში ჩააყენეს მისი ოფლით გამოზდილებმა.

შემდეგ სხვა დეპუტატებმა ილაპარაკეს.—მოითხოვეს გაუქმება ყველა საქონელზე დაწესებულ, არა პირდაპირის გადასახადისა, რომელიც ყველაზე მძიმედ მუშა ხალხს აძევს კისერზე, გონივრულად განუმარტეს კრიმ-გირეის არა-პირდაპირი გადასახადის მნიშვნელობა და იმის გაუქმების სამართლიანობა.

ფელეტონი

ბათუმის ამბები.

ბევრი სამწუხარო და შემაძრწუნებელი სურათი ნახა ამ ბოლოს დროს ბათუმის მცხოვრებმა და ვინ იცის კიდევ ხვალინდელი დღე რას გვიმზადებს. იურები გარშემო თავზარ დაცემული და უღონობის გრძნობა გახრჩობს, აზრები გირევა... მაგრამ ამავე დროს მაინც რაღაც კმაყოფილებას, რაღაც სიამაყეს ჰგრძნობ გულში, როცა შენი თვალით ჰხედავ, რა გონიერი, რა მტკიცე და ზნეობრივად საღი და ძლიერია ჩვენი ხალხი, მიუხედავად იმ საშინელ საზოგადო პირობებისა, რომელშიაც იგი იმყოფება. უნებლიედ გაგონდება პოეტის სიტყვები, თუმცა მაშინ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა ამ სიტყვებს, „იგივ მხნე, იგივ მღერალი, მებრძოლი შავის ბედისა“.. დიაღ, მებრძოლი, უებრო მებრძოლი!..

როდესაც კალამს ხელში ვიღებდი, მსურდა მკითხველისთვის მომეთხრა იმ არეულობის და შიშის ამბავი, რომელიც ბაქოს „სისხლის აბანომ“ გამოიწვია ჩვენში. მაგრამ ეს შიში და მისი მნიშვნელობა სრულიად დაჩრდილა სხვა ფაქტებმა, უფრო მნიშვნელოვანმა ამბებმა. ამიტომ ჩემ სურვილს იმდენი ძალა აღარ შერჩა, რომ დაწვრილებით შევჩერდე, მით უმეტეს, რომ ჩვენ აქ მხოლოდ შიში გამოვიარეთ, სხვა არაფერი. მაგრამ რადგან სხვა ქალაქებში დღესაც ეს საკითხი დღიურ ვარამს წარმოადგენს, ამიტომ მეც საჭიროდ მიმაჩნია, ბათუმის ხალხის და მის ისტორიისთვის, მოკლედ აღვნიშნოთ, რომ თითქოს მხოლოდ ბათუმმა არ შეირცხვინა თავი, არ წაბაძა ბაქოს, ერევანს და სხვებს. ჩვენ მარტო შიში გამოვიარეთ-მეთქი... მართალიც არის. ჯერ ისევ ბაქოს ამბებით ვიყავით აღელვებულნი, რომ 17 თებერვალს უეცრად ხმა გავარდა ქალაქში, სომხების წინადღე აქაც რაღაცას აპირობენო. რასაკვირველია, არა გვჯეროდა არავის და როგორც შემდეგმა დაამტკიცა, ჩვენი „ურწმუნოება“ სრულიად საფუძვლიანი იყო. ყველა კარგად ვიცნობთ ადგილობრივ ხალხს და ვიცით, რომ ის უმეცარი ბრბო, რომელიც, საუბედუროდ, სხვაგან ბევრგან არსებობს და რომელიც „ბოროტ-განმზრახველთა“ ხელში დღეს საშინელ იარაღს წარმოადგენს, საბედნიეროდ, ბათუმში არ მოიპოვება. ბათუმში „დაბალ ხალხის“ უმეტესობა მშრომელი ხალხია, მუშა, რომელმაც არა ერთხელ დაამტკიცა თავისი მოწიფულობა, გონიერება და ძალა. აი, სწორედ ეს მიზეზი იყო, რომ ჩვენ გულდამშვიდებულნი ვიყავით: ვიცოდით, რომ ბაქოს მაგალითს ბათუმში არავინ წაბაძავდა. მაგრამ ერთმა გარემოებამ, ცოტა არ იყოს, დაგვაფიქრა: ვიღაცას წინა ღამით დაევლო და სომხების სახლები წითელი ნიშნებით დაენიშნა, ჯვრები ჩამოესახა კედელზედ. უნდა მკითხველს მოვაგონოთ, რომ ოსმალეთში, მაგ. ტრაპიზონში, სწორედ ასევე იყო სომხების სახლები დანიშნული, როდესაც იქ სომხები გაჟლიტეს. რა თქმა უნდა, სომეხთა ტომის მცხოვრებნი ამ ამბავმა საკონებელში ჩააგდო, მეტადრე ვისაც უკვე გამოეცადა ასეთი უბედურება ოსმალეთში, ცდილობდა რამე ღონისძიება მიეღო თავის დასაფარად. ხმოსანმა ნ. ა. საბაშვილმა და გამგეობის წევრმა ჟურულმა დაიარეს ქალაქი და დარწმუნდნენ, რომ ბევრი სომხის ბინა მართლა დანიშნული იყო. ამავე საღამოს მოიწვიეს ქალაქის საბჭოში სომეხთა და მაჰმადიანთა წარჩინებულნი პირნი და საზოგადოება. უმეტესობა აქაურ მაჰმადიანთა, როგორც მოგეხსენებათ, ქართველები არიან და ქართულს საუცხოვოდ ლაპარაკობენ. ზოგიერთი მათგანი, როგორც მემედ-ბეგ აბაშიძე, ქართულ ლიტერატურაშიაც იღებს მონაწილეობას. ყველა ერთხმად სწუხდა, რომ ასეთი დამამცირებელი, უსაფუძვლო შიში მოედო ქალაქს და ყველამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ბათუმში მცხოვრებ ერთა შორის მტრობას და სიძულვილს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, რომ დღეს მათი საერთო ინტერესი მოითხოვს ძმურ კავშირს და შეერთებულ მოქმედებას საერთო კეთილ-დღეობის მისაღწევადაო. მოსაწონად ილაპარაკა ერთმა „ბლუზიანმა“, რომელმაც ის აზრი წარმოსთქვა, რომ თუმცა თვით ხალხთა შორის მტრობა არ არის, მათი ინტერესიც ერთია, რადგან ყველანი ერთ ტაფაში იწვიან, მაგრამ, შეიხ-ულ-ისლამის სიტყვისა არ იყოს, „შაითანი“, ეშმაკი მაინც სცდილობს ერთი ხალხი მეორეს გადაამტეროს, შეაძულოს და მით თავისი შერყეული ბატონობა გაამაგროსო.

დასასრულ მაჰმადიანებმა გამოაცხადეს, ხვალ მეჩეთში ღვთის მსახურება იქნება, ხალხიც ბევრი დაესწრება და ვთხოვთ სომხებს მობრძანდნენ და საჯაროდ მოისმინონ ჩვენგან ძმობის და ერთობის სიტყვაო.

მეორე დღეს მართლაც აზიზიეს მეჩეთში დიდ ძალმა ხალხმა მოიყარა თავი. მოლამ შესაფერი ქადაგება წარმოსთქვა, ილაპარაკა აგრეთვე მემედ-ბეგ აბაშიძემ, ი. მღდვორიანმა. რუსულად სიტყვა წარმოსთქვა ქალაქის ბეითალმა ვართანიანცმა, შეეხო ბაქოს ამბებს და გაიმეორა ის, რასაც ყველა გაზეთი და ხალხის ხმა ღაღადებს. ბოლოს ბათუმის შესახებ კი ფრიად შესანიშნავი და საყურადღებო ამბავი გამოაცხადა,—თითომ „წითელი ჯვრის“ ავტორი მაჰმადიანები კი არა, ვიღაც „დვორნიკი“ ყოფილიყოს. ადვილი წარმოსადგენია, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს გამომჟღავნება. აი თურმე ვინა სთესავს „მშვიდობას და კაცთა შორის სათნოებას“, აი რაში იხდის ბათუმი წლიწადში ასი ათას მანეთს! ვინ იცის, რა უბედურება მოჰყვებოდა ამ წესიერების ბურჯის მოქმედებას, ბათუმელ ხალხის მოტყუება რომ ისე ადვილი იყოს, როგორც სხვაგან. ამბობენ, ამ გარემოებას ადგილობრივმა მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქციაო.

20 თებერვალს სომხთა ეკკლესიაში აუარებელ ხალხის თანდასწრებით, ტფილისიდან საგანგებოდ მოსულმა ეპისკოპოსმა სტეფანოსმა პანაშვიდი გადიხადა ბაქოს მსხვერპლთა მოსახსენებლად, მიჰმართა ხალხს ძმობის და სიყვარულის ქადაგებით და წავიდა ერთ მდიდარ სომხის სახლში. ეკკლესიის კარი ისევ ღია იყო, ხალხი თან-და-თან უფრო მატულობდა, გარემო ქუჩები აივსო. გალავანში სიდანღაც გაჩნდა სტოლი, საიდანაც სხვა-და-სხვა ენაზე ორატორები ხალხს სიტყვას ეუბნებოდნენ. ისმოდა ხალხის გრგვინვა, „[illegible]“, „ვაშა“, „მართალია“... სამწუხაროდ, ეს მშვიდობიანი კრება რაღაც გაუგებარი მიზეზით მეტად ცუდად დაიშალა და შედეგი ხომ უარესი მოჰყვა. სომხები არავის გაუჟლეტია, მაგრამ ქალაქის საავადმყოფოში-კი მაინც რამდენიმე მოკლული და დაჭრილი აღმოჩნდა, მათ შორის ერთი პოლონელი ქალი.

* * *

ბათუმის ერთი განსაკუთრებული მხარე ის არის, რომ აქ მთელის ქალაქის მცხოვრებთა რიცხვის შედარებით, მუშათა რაოდენობა მეტად ძლიერია. ეს გარემოება დამოკიდებულია ერთის მხრივ ქალაქის გეოგრაფიულ მდებარეობით და იმ განსაკუთრებულ მრეწველობის დარგით, რომელიც ბათუმის ეკონომიურ ცხოვრების დედა ძარღვს შეადგენს. თითქ[illegible]ლის კავკასიის უმთავრესი ნაწარმოები გადის როგორც საზღვარგარედ, ისე რუსეთში. ბათუმშივე შემოდის უცხო საქონელი, რომელიც შემდეგ მთელ კავკასიაში და კასპიის გაღმა მხარეს იფანტება. [illegible]ნეთ გურიის სიახლოვე და მისი განსაკუთრებული, მეტად მძიმე ეკონომიური პირობები, რომელთა წყალობით გურული გლეხი იძულებულია ქალაქს მიმართოს, და მაშინ ადვილი გასაგები იქნება, თუ რატომ არის ბათუმში ამოდენა მუშა თავმოყრილი. უკანასკნელ წლებში გურიაში თურმე ყოველწლივ 17000—18000 პასპორტი აუღიათ. ეს ხომ თითქმის მეხუთედია მთელის გურიისა. უმეტესობა აქვე ბათუმში შოულობს სამუშაოს, [illegible] მხოლოდ უმცირესობა მიდის სხვა ქალაქებში. ამიტომ „მუშათა კითხვა“-ც ბათუმში მეტად გამწვავებულია. აქ მუშა ნამდვილ ძალას წარმოადგენს, შეერთებულს, [illegible], გონიერს და ღონიერს. მისი [illegible] ქალაქის ცხოვრებაზე მეტად ძლიერი[illegible]; ქალაქი მათით არსებობს და [illegible] ინტერესს, მათ[illegible]

როცა ლაპარაკი დაასრულეს, ისევ დაიწყო ენა-მკვეთრმა ახალგაზდამ და ცოცხლად დაახასიათა მღვდლები და მათი მოღვაწეობა.

„მღვდლები ცოცხლებსა და მკვდრებს სჭამენ ამ სოფლად და თავს იმით იმართლებენ, სამაგიეროდ თქვენი სული სამოთხეში აფრინდებაო, ირონიით დაიწყო ორატორმა: მათ სრულებით არ ახსოვთ იესო ქრისტეს მცნება, კარგა ხანია დავიწყებული აქვთ და მხოლოდ საკუთარი მადა აქვთ გაღვიძებული. ისინი ჰქადაგებენ უფროსების, მემამულეების და მოხელეების მორჩილებას, და ამ მორჩილებას ჩვენ შვილებს ასწავლიან. მღვდლებს კარგად ესმით, რომ ჩვენი მორჩილება—მათი კეთილდღეობის წყაროაო". შემდეგ ორატორმა განმარტა მღვდლების თავ-გასულობა, თავის კერძო წადილი, მოიყვანა იმის მაგალითები, როგორ ავიწროებდნენ ისინი ხალხს ქრისტეს სახელით და დასძინა, არ გვინდა მღვდლების შენახვა და მათგან სამღვთო სჯულის სწავლება,—ვისაც სურს, იმან შეინახოს და სამღვთო სჯულიც ისწავლოს მათგანაო.

სხვა დეპუტატებმა გამოსთქვეს შემდეგ საერთო მოთხოვნილება: ჩვენ ამორჩეულ კაცებს უნდა მიეცეს უფლება განაწესრიგონ და დააწესონ იჯარა სახელმწიფო და საბატონო მამულებზე, ტყეებსა და საძოვრებზეო. უნდა მოისპოს ჩვენზე დაკისრებული ხარჯი მოხელეების ცხენებისა, იმ მოხელეებისა, რომელთაც ქვეყანა თავისი საკუთარი ჰგონიათ, მემამულეებს შორიდან თავს უკრავენ, ჩვენ კი ახლოს არ გვიშვებენო. მოისპოს სიტყვა „Мужик"-ი ადამიანის დამამცირებელი, და ყველა წოდება გასწორდეს კანონის წინაშე. უფლება უნდა მოგვეცეს კრებისა, რომ ჩვენ გაჭირვებაზე საერთოდ მოვილაპარაკოთ, აზრის თავისუფლების, რადგან აზრის გაუზიარებლად არაფერი საქმე არ კეთდება, დღეს კი კრების გამართვისათვის გვამათრახებენ და ციხეში გვალპობენ. უნდა მიეცეს თავისუფლება ჟურნალ-გაზეთებს. დღეს ჩვენ პირ-ვარამზე აკრძალულ წიგნებში ვკითხულობთ და გაზეთებში ვერაფერს ვპოულობთ. უნდა მოგვეცეს ნება გაფიცვისა, რადგან ეს ერთად ერთი საშუალებაა იმათ წინააღმდეგ, ვინც ჩვენი ოფლით იკვებებიანო.

„ჩვენ კარგად ვიცით, რა არის სწავლა", სთქვეს დეპუტატებმა. ჩვენში უმრავლესობა კი უსწავლელია სიღარიბის გამო, ამიტომ ვითხოვთ, რომ სწავლება იყოს უფასო 16 წლამდის და ყველასათვის სავალდებულო. გაგვიგონია, განათლების მინისტრია სადღაც რუსეთშიო, ის არასფერს არ აკეთებს, პირიქით, [illegible] განათლების მოსურნე გურულ ხალხს ბიბლიოთეკები და სამკითხველოები დაგვიხურესო.

ამაზე კრიმ-გირეიმ ჰკითხა, რატომ არ იჩივლეთ უმაღლეს მთავრობასთანაო. ვიცით, რომ რაც უფრო მაღლა ვიჩივლებთ, უსამართლობა იზდებაო, უპასუხა ხალხმა.

შემდეგ ხალხის არჩეულებმა მოითხოვეს მუდმივ ჯარის მოსპობა და სახალხო მილიციის შექმნა. დღეს სალდათები ჩვენ საწინააღმდეგოდ მიჰყავთ, მტრებსავით მოგვისევენ ჩვენსავე ძმებს. აი ეხლაც ჯარი მომდგარია ნატანებზე ზარბაზნებით, ჩვენი აოხრება უნდათ. მაგრამ ნუ იფიქრებთ კი, ასე სულელები ვიყოთ, რომ ჯარს თავზე დავეცეთ. ეხლა არაფერს არ ვაპირებთ. გლახათ მოუტანიათ ხმები მთავრობისათვის, გურულები „ბუნტს" ეძებენო. გურულები სიმართლეს ეძებენ და სხვას არაფერსა გთხოვთ გაიყვანოთ აქედან ჯარი და არ დააწიოკოთ მშვიდობიანი ხალხი.

თვითეული სიტყვა დეპუტატების—თამამითა და უშიშარი გულის პასუხი იყო. მათი მოთხოვნილებაა აგრეთვე, რომ გადასახადი დაწესდეს მხოლოდ შემოსავლის დაგვარად. ვისაც 500 მანეთზე ნაკლები აქვს, სრულიად განთავისუფლებულ იქნას. კანონების შექმნა-შემუშავებაში მთელი ხალხის წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა, განურჩევლად ქონებისა, ეროვნებისა და სქესისა. კენჭის ყრა პირდაპირი, ფარული და საყოველთაო უნდა იყოს. ჩვენ ვთხოულობთ,—სთქვეს დეპუტატებმა,—ყველა პოლიტიკურ დამნაშავეთა განთავისუფლებას, ვთხოულობთ პასპორტების გაუქმებას, რადგან არ შეჰფერის ადამიანს პირუტყვსავით დაღი ჰქონდეს. ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ გვიმარჯვებთ საბოლოოდ. მთავრობა, რომელიც აქამდის გვტანჯავდა, კვთხოვს კიდევ მოვითმინოთ და ვიტანჯოთ, ჩვენ საამისოდ არც შუბლი და არც ძარღვი არა გვაქვს, ჩვენი მოთმინება საზღვარზეა მისულიო.

ამით დასრულდა სიტყვები ხალხის დეპუტატებისა.

დაბა ხიდისთავში ხალხმა ითხოვა აგრეთვე ყველა გადასახლებულთა განთავისუფლება. ამ დაბიდან 8 კაცია გადასახლებული რუსეთსა და ციმბირში. ითხოვეს გაუქმებულ იქნას სასჯელი იმათთვის, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ სასჯელი და პოლიციას ემალებიან. (სულ ათი კაცია აქედან), განთავისუფლებულ იქნან ციხიდან ყველანი (13 კაცია დღეს ციხეებში).

ღარიბმა ქვრივმა გულის ამაჩუყებელ სიტყვებით აუწყა კრიმ-გირეის, როგორ გამოაგდო პოლიციამ იგი თავის ქოხიდან ობოლ წვრილ-შვილებით და შიგ ყაზახ-რუსების ეკზეკუცია დააყენა ორის თვით. ერთი ეკზეკუცია რომ წავიდა, მალე მეორე მოვიდა და ისიც ამ საწყალ ქალის სახლში მოეწყო. კრიმ-გირეი დაჰპირდა, გამოვიძიებ ამ საქმესაო.

—

გუშინ დაბა ხიდისთავიდან გაასვენეს ახალგაზრდა გურული გლეხი კოპლატაძე, რომელიც მოკლულ იქმნა ფოთში მომხდარ არეულობის დროს. დასაფლავებას დაესწრო სამი ათასამდე ქალი და კაცი ხიდისთავიდან და ახლო-მახლო სოფლებიდან. სამწუხარო ფიქრებს უღვიძებდა ადამიანს უბრალო კუბოში მშვიდობიანად მწოლარე ოდნავ წვერულვაშ-აშლილ ჭაბუკის გვამი. განთიადის მიგებება არ აცალეს ცხოვრებაში ახლად ფეხ-შედგმულ ყრმას, რომელმაც მთელი თავისი [illegible] შრომაში გაატარა და გამოასალმეს წუთისოფელს. გვამი რკინის გზის სადგურ ნიგოითიდან ათი ვერსტის მანძილზე ხელით გაასვენეს მცხოვრებლებმა მდ. სუფსამდის, სადაც მათ ხიდისთაველები დახვდნენ და ხელით წამოასვენეს ხიდისთავამდე, 7 ვერსტის მანძილზე. სუფსის პირად ნიგოითელებმა გრძნობიერი სიტყვები სთქვეს. ხიდისთაველებმა ბევრი სიტყვები წარმოსთქვეს, რამაც ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე.

კრიმ-გირეისთან მოვიდა გლეხების დეპუტაცია ს. შემოქმედიდან შემდეგის განცხადებით. „შემოქმედში აზნაურის ანტონ დუმბაძის სახლში შემდეგი შემთხვევა მოხდა: მოჯამაგირემ, 17—18 წლის ბიჭმა, რომელიც მარტო დასტოვა პატრონმა სახლში და თვითონ ოზურგეთში ცხოვრობდა, ერთ ღამეს ასტეხა ცარიელ სახლში თოფისა და რევოლვერის სროლა, დახვრიტა ტყვიებით კარები და ჭერი. ბიჭმა შემდეგ განაცხადა, ჩემი პატრონის სახლს შეიარაღებული ხალხი დაეცა სამტროდო. თავი მოიყარა მეორე დღეს 25-მდე კაცმა, მამასახლისითა და ოზურგეთიდან ჩამოსულ მღვდელ დავით დუმბაძით (ანტონ დუმბაძის შვილია). მოჯამაგირე გამოტყდა, პატრონმა დამარიგა ასე მოვქცეულიყავი, მითხრა, ჯარს მოიყვანენ, ასე თუ მოიქცევი, ყარაულებს მოგვცემენ, და მე და შენ მშვიდობიანად ვიცხოვრებთო. თან 30 მან. აღმითქვა პატრონმა ამ საქმისათვისო.

ამ შემთხვევამ და აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ამას წინად ოზურგეთში ვიღაც ბოროტ-განმზრახველები თავს დაეცნენ ყარაულ სალდათს და დასჭრეს იგი, მეტად ააშფოთა მცხოვრებლები. ისინი ჰშიშობენ, რომ ხალხის მტრებმა კიდევ არაფერი ჩაიდინონ და ხალხს არ მოახვიონ თავზე. შემოქმედიდან მოსულმა დეპუტაციამ სთხოვა კრიმ-გირეის, ნება მიგვეცით ჩვენი ყარაულები გავაყოლოთ ყველგანო. კრიმ-გირეიმ მადლობა უთხრა, მაგრამ აქაური გლეხები მაინც დღე და ღამ იცავენ და თვალს არ აშორებენ კრიმ-გირეის. ეს პირველი მაგალითი არ არის. რაც გურიაში ყაზახების ეკზეკუცია იდგა, ხალხი თავის ნებით იცავდა ჯარს, რომ ბოროტ-განმზრახველთ რამე არ ჩაედინათ ხალხის ასაწიოკებლად.

ი. ნაკაშიძე.

წიროებას უნდა ანგარიში გაუწიოს ყველამ, ვისაც პირდაპირ მათთანა აქვს საქმე. ამიტომ სწორედ კარგად და სამართლიანად მოიქცა ქალაქის გამგეობა, რომ დროზე მიაქცია ყურადღება ქალაქის მუშების მდგომარეობას და, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ეცადა მის გაუმჯობესებას. ამ ერთის თვის წინად საბჭომ აირჩია კომისია (ნ. საბაშვილი, ექიმი ელიავა, ი. ნაკაშიძე, ნ. ნაკაშიძე, დიმიტრიადი), რომელსაც დაავალა როგორც ქალაქის მუშათა, ისე ქალაქის გამგეობის მცირე ჯამაგირიან მოსამსახურეთა მდგომარეობის გამოკვლევა. უკანასკნელ სხდომაზე კომისიამ წარმოადგინა თავისი მოხსენება, რომელიც შეეხება მხოლოდ ქალაქის მუშებს და კერძოდ სასაკლაოში მოსამსახურე დაბალს და მუშათანა [illegible]. კომისიის აზრით, მუშის დღიური ფასი არ უნდა იყოს 80 კაპ. ნაკლები, და დადგენია თვიური ჯამაგირი 24 მანეთი. ბაქოს, ეკატერინოდარის და ტფილისის ფასთან შედარებით, სადაც ჩვეულებრივ მუშები 10—20 მანეთს იღებენ თვეში, ბათუმის ქალაქის მუშა ბევრით უკეთ არის დაკმაყოფილებული, მით უმეტეს, რომ ქალაქი აძლევს ბინას, შეშას, ნავთს და წელიწადში ერთხელ საწუქარს. კომისიას მიუღია მხედველობაში ადგილობრივ პირობები, სანოვაგეთა სიძვირე და სხვ. და საჭიროდ უცვნია მომატება. კომისიას ჯამაგირი მოუმატებია სასაკლაოში მოსამსახურე პირთათვისაც. ამგვარად ქალაქის კასას მოემატა ხარჯი 7,800 მანეთი, რომელიც ხარჯთ-აღრიცხვის დროს სახეში არა ჰქონია. რადგან სხვა წყარო არ მოიპოვებოდა, ქალაქის გამგეობამ სთხოვა საბჭოს 1 პროცენტი მოემატებინა უძრავ მამულთა გადასახადზე. ამან, ცოტა არ იყოს, დააფიქრა ჩვენი ხმოსნები, მაგრამ ბოლოს მაინც ერთის ხმის უმეტესობით გადასწყდა ნახევარ პროცენტის მომატება.

მცირე ჯამაგირიან მოხელეთა შესახებ კომისიას მალე ექმნება სჯა და თავის მოხსენებას წარმოადგენს.

საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელმა საყოველთაო გაფიცვამ, თუ ყველას არა, ბევრს შესამჩნევი სარგებლობა მოუტანა. ჯამაგირები მოუმატეს აფთიაქებში, სხვა-და-სხვა კანტორებში, ზოგან მუშებიც დააკმაყოფილეს, მაგ., მეტად გაჭირვებულნი მხოლოდ „რუსკოე ობშჩესტვო", უმდიდრესი სანავთსნო საზოგადოება, არ აკმაყოფილებს კანტორის მოსამსახურეთა მოთხოვნილებას და ისინიც ხელს არა ჰკიდებენ [illegible]. ყველას კარგად მოეხსენება, რა მდიდარი საზოგადოებაა ეს საზოგადოება, ვინც არიან მისი აქციონერები და რამდენ სუბსიდიას იღებს მთავრობისაგან. მისი გემები მოდიან და ისევ ბრუნდებიან დაცლილი, რადგან კანტორის მოსამსახურენი გაფიცულები არიან და გემებს არავინა ჰყავს პატრონი. ამ გარემოებამ მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა მთელი ქალაქი,—ბათუმს შემოაკლდა სანოვაგე, მეტადრე ფქვილი, რომელიც რუსეთიდან მოდიოდა გემებით. ქალაქის გამგეობა მოვალეა იზრუნოს ქალაქისთვის და კიდეც სცდილობს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერა გახდარა. მოსამსახურეთა დეპუტაცია რამდენჯერმე იყო ქალაქის მოურავთან მოსალაპარაკებლად. თ-მა ანდრონიკაშვილმა ქალაქის თვითმმართველობის სახელით მიმართა ადესის საზოგადოების დირექტორს, ყურარს, როგორმე დააკმაყოფილეთ თქვენი მოხელენი, რომ მუშაობა დაიწყონო, მაგრამ პასუხად დეპეშითვე მოსწერეს, ქალაქმა გაფიცული მუშები დაამშვიდოს და ჩვენ აქედან მოსამსახურეთა ახალ შტატს გამოვგზავნითო. ამ პასუხს არავითარი აზრი არა აქვს და ამიტომ ქალაქის თავმა ახლა პეტერბურგში მიმართა იმავე თხოვნით დეპეშით, ქალაქს სურსათი გამოელია, თქვენ ადესელ დირექტორის მოთხოვნილების ასრულება (გაფიცულთა დამშვიდება) შეუძლებელია, მოსამსახურენი მზად არიან მუშაობა დაიწყონ, თუ მათ თხოვნას ბინის შესახებ მაინც დააკმაყოფილებთო. ამის პასუხად პეტერბურგიდან ისევ ადესაზე მიუთითეს, დირექტორს მიეცით საჭირო ინსტრუქცია და ისევ იმას მიმართეთო. ასე გაჭიუტდა უდიდესი და უმდიდრესი საზოგადოება. ქალაქს თანდათან აკლდება ფქვილი, კრიზისი უფრო მწვავდება. ამ ჟამად, აგენტების ცნობებით, სულ 50.000 ფუთი ფქვილი დარჩა საწყობებში, აბა რამდენხანს უნდა ეყოს ამოდენა ქალაქს?

ამ „დრამატიულ" მდგომარეობას კომიკური ელემენტიც გამოერია: ყველიერი დადგა, უოვლი დირსეული ბურჟუა „ბლინების" სეზონს მოუთმენლად მოელოდა და დახე ბედის დაცინვას, სწორედ ახლა შემოგვაკლდა „გრეჩნევაია მუკა"!... ხიზილალა ხომ ექვსი მანეთი ღირს!!!.

— რ. რ.

P. S. ეს წერილი მზად იყო, რომ შემდეგი შევიტყე: თ-დ ანდრონიკაშვილს უკანასკნელი დონე უცდია და დეპეშით მიუმართავს მის უმაღლესობის ალექსანდრე მიხეილის ძისთვის, რომელიც თავმჯდომარეა სავაჭრო ნაოსნობის განყოფილებისა, და მოუხსენებია საქმის გარემოება და უთხოვნია შველა. როგორც მიღებულ დეპეშიდან სჩანს, თურმე 30% მოუმატებიათ და ამ გვარად დაუკმაყოფილებიათ საზოგადოების მოსამსახურენი.

რ.

ახალი ამბავი

✦ ხვალ, 3 მარტს, ტფილისის ქალაქის საბჭოს **ხმოსნებს კერძო თათბირი** ექნებათ ხალხის წარმომადგენელთა კრების შესახებ მოსალაპარაკებლად, რომლის მოწვევაც განზრახულია უმაღლესის ბრძანებით. ხმოსნებმა უნდა ამოარჩიონ განსაკუთრებული კომისია, რომელიც შეიმუშავებს პროგრამას კავკასიის მცხოვრებთა წარმომადგენლების სახელმძღვანელოდ.

✦ ამას წინად **სოხუმიდან ცუდი ხმები** გავრცელდა, ვითომ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ბაქოს მსგავსი შეტაკება მომხდარიყოს. გუშინ სოხუმის ქალაქის მოურავმა აცნობა ტფილისის ქალაქის მოურავს, რომ გავრცელებული ხმები სრულიად სიმართლეს მოკლებულია; მართალია, უწესოება მოხდა ქალაქში, მაგრამ სულ სხვა ნიადაგზეო.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობამ ტფილისიდან [illegible] **მუშათა ახალი არტელი** გაგზავნა [illegible] დასატვირთავად. როგორც უკვე [illegible], ძველი არტელი გაიფიცა [illegible] მომატება მოითხოვა.

✦ უსახელო საზოგადოებას განუზრახავს **ტფილისიდან კოჯორამდე ელექტრონის** რკინის გზის გაყვანა. საზოგადოებას ამის შესახებ უკვე აღუძრავს შუამდგომლობა.

✦ საკრედიტო ნაწილის განსაკუთრებულმა კანცელარიამ გუშინ აცნობა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ხელმწიფე იმპერატორმა შეიწყნარა ქალაქ **ტფილისის შუამდგომლობა** და ბრძანა: 1. ეპატიოს ტფილისს ის ჯარიმა, რომელიც შეეწერა 1877 წელს ნასესხებ სააღმშენებლო თანხის განაღდების დროს ვადის გადაცილებისათვის და ყველა ამ სესხის გამო გადახდილი ფული ჩაეთვალოს ქალაქს თავნ ვალის დასაფარავად; 2. ეპატიოს სრულიად 1867 წელს 12 ივნისს ტფილისს ნასესხები ფული 50,000 მან., ტფილისში ჯარის სადგომების მოსაწყობად გადადებული და 3. ეს ზემოდ აღნიშნული შეღავათები მიეცეს ტფილისს მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი შეავსებს პირველ მუხლში აღნიშნულ ნასესხებ ფულს და აგრეთვე ვალს 1865 წელს აღებულს, (6225 მან.) სარგებლიანად შეიტანს ხაზინაში.

✦ თავ. გოლიცინის მთავარ-მართებლად ყოფნის დროს განიზრახეს **მუღანის ველის რუსებით გასახლება**. ამისთვის შუამდგომლობა აღძრეს ამ ველის ყოველ მხრივ გამოკვლევის შესახებ. ეხლა-ხან ტფილისში ჩამოვიდა პეტერბურგიდან გამოგზავნილი სამთო ინჟინერი კახიძინი, რომელიც ამ დღეებში გაემართება მუღანის ველის ჰიდრო-გეოლოგიის მხრივ გამოსაკვლევად.

✦ „კავ."-ში დაბეჭდილია **სავალდებულო დადგენილებანი ქალაქ ერევნისათვის**. ერთით აკრძალულია იარაღის ტარება, მეორე შეეხება ქალაქში მისულთა და იქიდან წასულთა შესახებ ცნობების შეკრებას.

✦ ტფილისის მეეტლეთა მამასახლისმა და მისმა თანაშემწემ **მეეტლეთა სახელით** წარუდგინეს ქალაქის მოურავს მეეტლეთა მოთხოვნილებანი. მეეტლენი თხოულობენ: 1. ეპატიოთ ჯარიმები; 2. ყოველ წლიური გადასახადი არ აღემატოს 3 მანეთს, 3. მოისპოს ნიხრი ერთი წლის განმავლობაში მაინც, საცდელად, და სხვა.

✦ მამა დავითის გორაზე **ფუნიკულერის ვაგონების** მიმოსვლა დაიწყო გუშინ, 1 მარტს. ამ დღეს გადახდილ იქნა პარაკლისი, რომელსაც დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

✦ 22 თებერვალს სტავროპოლის ვაჟთა **გიმნაზიაში სწავლა შესწყდა**. გიმნაზიასთან ამ დღეს ჯარი და პოლიცია დადიოდა. ფანჯრები ჩამტვრეულია. სწავლა შესწყდა აგრეთვე ქალთა გიმნაზიაში.

✦ ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა შალიკოვი ტფილისის **ვაჭართა მამასახლისის** თანამდებობაზედ.

✦ **სპარსეთის შაჰი**, როგორც გაზეთები სწერენ, ერთი თვის შემდეგ სპარსეთიდან ევროპაში აპირებს წასვლას.

✦ **ფოთში არსებობს** კერძო სამსახურში მყოფთა ურთ-ერთ დამხმარებელი საზოგადოება. როგორც გავიგეთ, ამ საზოგადოების შუამდგომლობით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა საზოგადოებასთან განზრახულ კლუბის წესდება.

✦ დღეს, 2 მარტისა კაპ, დანიშნულია კრება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა. კრებამ უნდა განიხილოს მოხსენება ა. ა. ქადანთარისა—„მეთამბაქოების ბედი შავი ზღვის პირად".

✦ მღვდელ-მონაზონ კრიკოლს პორფილოს მაზრის სოფელ წინწყაროში აღმოუჩენია უძველეს დროის ორი სახარება, დაწერილი ხეცურს ენაზე. იმავე მაზრის სოფელ კუნიათლის ძველს ტაძარში მ. კრიკოლს უნახავს აგრეთვე ქართული კურთხევანი. ხელთნაწერი სახარებანი ინახება ბერძნის ბერძენოვის სახლში. პატრონი სახარებებს 1000 მან. აფასებს. ჯერ გამოკვლეული არ არის, რომელ საუკუნეში უნდა იყოს დაწერილი ეს სახარებანი და ვისგან.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა დაამტკიცოს სააღმშენებლო განყოფილების მიერ შემუშავებული გეგმა ქალაქის აბანოებისა და გადასდოს მას ასაშენებლად 6000 მან. გამგეობამ სააღმშენებლო განყოფილებას დაავალა შეიმუშაოს ღარიბთათვის უფასო აბანოების გეგმა (მტკვარზე) და წარუდგინოს გამგეობას.

✦ დრმა დელედების თხოვნით, რკინის გზის გამგეობამ ნება დართო ამ აგარაკის პირად გაიმართოს პლატფორმა. 27 თებერვალს ინჟინრებმა აარჩიეს განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა აარჩიოს ადგილი პლატფორმის გასამართავად.

✦ პროფესორმა მარმა ამ დღეებში საქართველოს საეკლესიო მუზეუმს შესწირა პატარა ზარი, რომელიც მას აჭარაში მოგზაურობის დროს სოფელ ოპიზაში უნახავს.

✦ ტფილისის ვაჭართა საზოგადოებამ გადასდო წელს 1200 მან. ტფილისის საკომერციო სასწავლებელში სტიპენდიების დასაარსებლად. გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა ეს დადგენილება.

✦ პოლიციის მე-5 ნაწილში 23 თებერვალს, ღამე, შემდეგი ქურდობა მოხდა: სოლოლაკის არხით მტკვრის პირიდან ასულან ვილაცები პუშკინის ქუჩაზედ ვასილ ევიაზაროვის მაღაზიის ქვეშ. ქურდებს ჯერ არხი გამოუნგრევიათ, შემდეგ მაღაზიის იატაკი, ასულან და 400 მან. მეტის საღირალი საქონელი გაუტანიათ და იმავე გზით გაპარულან. ქურდების ვინაობა არ იციან.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

1 მარტი.

საჯავახო. სოფლის ყრილობებმა გამოუცხადეს სულთან-კრიმ-გირეის, რომ ნატანებში [illegible]რის ყოფნა ხალხს აღელვებს და გული აღარა აქვთ მუშაობაზეო და სთხოვეს ჯარის წაყვანა. სულთან კრიმ-გირეიმ მთავარ-მართებელს შუამდგომლობა გაუგზავნა ამის შესახებ. ს. ჯვარცხმის საზოგადოებამ სხვა მოთხოვნილებათა შორის სთხოვა დაბალ და საშუალო სასწავლებლებში ქართულად იყოს საგნების სწავლება, ხოლო უნივერსიტეტში ქართველებს ასწავლონ ქართული ენა, როგორც სხვა საგნებს ასწავლიან.

რუსეთის ქრონიკა

—

უმაღლესს რესკრიპტის გამო „ნოვოე ვრემია"-ში ვკითხულობთ: 18 თებერვალს, „პრავიტ. ვესტნიკ"-ში გამოცხადდა უმაღლესი მანიფესტი (თვითმპყრობელობის ხელშეუხებლობაზე). იმავე დღეს ცარსკოე სელოში, წავიდნენ ს. ი. ვიტტე, ყველა მინისტრები და ბევრი მაღალ თანამდებობის პირი. საღამოს, იმავე 18 თებერვალს, „პრავიტ. ვესტნიკის" საგანგებო დამატებაში დაიბეჭდა უმაღლესი რესკრიპტი ხალხის მიერ არჩეულ პირების მონაწილეობაზე საკანონმდებლო მუშაობაში.

ქალაქის მილიცია. მოსკოვში სერიოზულად განუზრახავთ საქალაქო მილიციის დაწესება საჭიროების დროს წესიერების დასაცველად (უდანაშაულო ხალხის ცემა-ტყეპა). ამ საქმის ინიციატივა ეკუთვნის 1-ამ საზოგადოებას—პედაგოგიურს, ტეხნიურსა და სასოფლო-სამეურნეოს. ინიციატორების აზრით, ქალაქს კანონით უფლება აქვს მილიციის შემოღებისა. („რ. ს."

ა. ს. ერმოლოვს (მიწათ-მოქმედების მინისტრს) ულაპარაკნია გაზეთ „რუს"-ის თანამშრომელთან ხალხის წარმომადგენლების მოწვევაზე (რესკრიპტის ძალით). „ჯერ არ არის შემუშავებული წესი მოწვევისა. აქამდე მხოლოდ პრინციპიალურად არის გადაწყვეტილი ხალხის წარმომადგენლების მოწვევა საკანონმდებლო მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად... ტყუილია ის ხმა, ვითომც მე მქონდეს მონდობილი მოხსენების შედგენა საერო კრებაზე... როგორც ისტორია გვასწავლის, წინად საერო კრებას იწვევდნენ სახელმწიფო ცხოვრების გაჭირვების დროს და ამიტომ დროებითი ხასიათი ჰქონდა. ეხლა-კი განზრახულია, რომ ხალხის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღონ კანონ-პროექტების შემუშავებასა და განხილვაში და ეს გარემოებაა, რომ ახასიათებს განზრახულ მიმართვას ხალხის წარმომადგენლებისადმი... მეტად რთული საქმეა მთავრობის ეს განზრახვა, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, რომელსაც ასე დიდი ტერიტორია აქვს და სადაც ამოდენა სხვა-და-სხვა ხალხი სცხოვრობს. სახეში უნდა გვქონდეს, რომ სხვა-და-სხვა ტომი ერთმანეთს დაშორებულია და განსხვავებულ პირობებში იმყოფება. მათი შეერთება საზოგადო საკითხების განხილვის ნიადაგზე მეტად ძნელია. მოსამზადებელ [illegible] კითხების განხილვის დროს არა [illegible] სარგებლობის მოტანა შეუძლია პრესს თუ საქმეს უკიდურესს გატაცებით არ გამოეკიდება. მიუხედავად ყველა ამისა, საქმის [illegible] ნებდეს და იმედს არ უნდა ვეკარგავდეს; ჩვენ გადავეწყვეტია არა ნაკლებ რთული საქმე, როგორც, მაგალითად, გლეხების განთავისუფლება. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საგანგებო საბჭო, შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით სასურველს და სწორ გადაწყვეტილებას დაადგება".

ქალაქის საქმეები

28 თებერვალი

ტფილისის ქალაქის საბჭოს 28 თებერვლის კრებას, როგორც ჩვეულებრივ ამ უკანასკნელ ხანებში, დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, ასე რომ ტევა აღარ იყო. ვიდრე მორიგ საქმეების განხილვას შეუდგებოდნენ, ხმოსანმა ნ. ხუდადოვმა სთქვა, ადგილობრივ გაზეთებში შემდეგი ამბავი იყო დაბეჭდილი: წყლის მილის სამ მახურს განუცხადებია შეუტანია ავხადებენ, ავჭალის ქჩიაზე ღამე თავს დაგვეცა ორი ყაზახ-რუსიო. ამ ამბავმა მეტად აღელვა დაშფოთა მცხოვრებნი. გვაცნობეთ, ამგვარი განცხადება მიიღეთ თუ არა და თუ მიიღეთ, რაშია საქმე მოურავმა სთქვა, ჩემის აზრით, ეს კერძო შეტაკებაა რის შესახებ გუბერნატორსაც ვაცნობე; პასუხად გუბერნატორისაგან მივიღე, თუ ვინიცობაა ასეთი რამ განმეორდეს ქალაქში, მაცნობონ მე ან ბრალმდებელსაო. სხვა ხმოსნებმა სთქვეს, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ამ საქმეს. გუბერნატორს 19 თებერვლის ამბავიც აცნობეთ, მაგრამ ეხლა კიდევ მოხდა: 27 თებერვალს მოხუცებულ საკონდუქტორო ყაზახები ამგვარადვე მოექცევიანო. ხმოსნები თხოულობენ იარაღი დაურიგდეს გამგეობის დაწესებულებათა მოსამსახურეთ თავის დასაცველად. გუბერნატორს ეთხოვოს აგრეთვე გამოიძიონ ეს საქმე და დასაჯონ აღნიშნული ყაზახები. ვერმიშევმა ამ საგანზე მოისპო ლაპარაკი და განუმარტა ხმოსნებს, რომ ასეთ შეტაკებას არავითარი ზოგადი მნიშვნელობა არა აქვსო. მომხდარ ამბების შესახებ გუბერნატორს ვსთხოვ საჭირო საშუალებანი იქნას მიღებული დამნაშავეთა დასასჯელად.

მეეტლეთა გაფიცვის შესახებ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მეეტლეების გაფიცვა არ მოუხდენია: სამუშაოდ მხოლოდ კვირას არ გამოსულან. განსაკუთრებულმა მათმა დეპუტაციამ განცხადება შემოიტანა და ითხოვა ზოგიერთ პირობების გაუმჯობესება. საქმეს კანონიერი მსვლელობა მიეცემა და შედეგს გაცნობებთო.

უმნიშვნელო ცვლილებით საბჭომ დაამტკიცა ელექტრონის ვაგონების დამტარებელთა სახელმძღვანელოდ შემუშავებული ინსტრუქციის პროექტი. ნ. ნ. რჩეჩი დროებით საბჭომ მიანდობა კომისიის მახსენება ქალაქში ნავთის ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ. როგორც ეწერდით, ნავთის მილის ნავთსადენიდან გამოყვანა მოინდომა ბელგიის უსახელო საზოგადოებამ და გამგეობას ამის შესახებ წარუდგინა მოხსენება. გამგეობამ შესაძლებლად სცნო ნება მიეცეს საზოგადოებას გამოიყვანოს ნავთის მილი. ეს ქომ მიიღო გამგეობის დადგენილება.

პრესსა

—

„რუს"-ის 46 ნომერში დაბეჭდილია თაისის თავად-აზნაურობის მარშლის თ.

დ. წერეთლის მოხსენება, რომელიც წარუდგენია მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარისათვის. ეს მოხსენება ეხება საადგილმამულო საკითხს იმერეთში.

პირველად აღნიშნულია საგლეხო მიწათმფლობელობის უკიდურესი სიმცირე: არსად რუსეთში არ არის ასეთი უმიწა-წყლობა, როგორც იმერეთში. უკიდურესად გაჭირვებულია გლეხი და პატრონი-კი არავინ ჰყავს, არავინ ზრუნავს ამ გაჭირვების შემსუბუქებას: საგლეხო ბანკი არ არსებობს ჩვენის გლეხისათვის, არც გადასახლების უფლება აქვს—თავისუფალ ადგილებზე ასახლებენ ყველას, გარდა ქართველისა, რომელიც

ორი ათასი წლის განმავლობაში თავის მკერდით იცავდა და სისხლით უხვად რწყავდა ამ ადგილებს.

ადგილობრივ მცხოვრებლებს არ შეეძლოთ არ შეემჩნიათ საგანგებო მზრუნველობა ადმინისტრაციისა რუსების დასახლებაზედ და ადგილობრივ გლეხობის არსებით ინტერესების სრული მივიწყება; ამიტომაც ხალხი თანდათან რწმუნდება, რომ მთავრობა მხოლოდ რუს გლეხების მოწყობაზე ზრუნავს და ქართველ გლეხს კი ყურადღებასაც არ აქცევს.

ასევე მოქმედებს ხალხზე სახელმწიფო ქონებათა ადგილობრივი მმართველობა: ადგილი არ არის, რომ ამ სამმართველოს დავა არ ჰქონდეს მის გამო ატეხილი და სასამართლო-კი თითქმის ყველა საქმეს ხაზინის სასარგებლოდ სწყვეტს.

პირველ ხანებში ხაზინამ ბევრი საქმე წააგო სასამართლოში; ამას მოჰყვა ბრალდება, ვითომც კავკასიის სასამართლო დაწესებულებანი გვერდს უხვევდა მართლმსაჯულების გზას და ხაზინის კანონიერ ინტერესებს არღვევდა. ამ ბრალდებას, სამწუხაროდ, მხარი მისცა სატახტო პრესის ერთმა ნაწილმა, რომელიც სისტემატიურად ცილსა სწამებდა ამიერ კავკასიის მცხოვრებთ—სახაზინო ადგილების მითვისება სურთ და ყველა ცრუ-მოწმეობის მოყვარე არისო. ყველა ამას ის მოჰყვა, რომ სათანადო მთავრობიდან შესაფერი ჩაგონება მოუვიდათ

და თან გაჩნდნენ კავკასიის მოსამართლეთა შორის ისეთი პირები, რომელნიც ცუდის თვალით უცქეროდნენ ადგილობრივ მცხოვრებთ. ამიტომაც,

ამ უკანასკნელ ოცის წლის განმავლობაში კერძო პირს ძალიან იშვიათად მოუგია დავა ხაზინისთვის...

თუ როგორის მიკერძებით მოქმედებს ამ შემთხვევაში ამიერ კავკასიის სასამართლო, [illegible] ს. ს. კიკნაველეთისა და სვირის საქმეებიდან: დავა ცხადზე უცხადესი იყო, საბუთები, მოწმეები ერთის სიტყვით ყველაფერი მოწმობდა, რომ ხაზინას აქ არაფერი აქვს, მაგრამ საქმე მაინც ბოლოს ხაზინის [illegible] ძალის მოსასპობად საკმარისია უბრალო ტყის დარაჯის ჩვენება—დარაჯი ყოველთვის მართალია, საბუთი სტყუის და კერძო პირის მოწმეები ხომ სახსენებელიც არ არიან: ცრუმოწმეობა ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარიო, აი როგორ მსჯელობს სასამართლო ჩვენში.

წერილი რედაქციის მიმართ

[illegible]ქოელ სომხებს, რომელთაც ოთხი დღის [illegible]ვლობაში გამოსცადეს აუწერელი ტა[illegible] და ძმათა ჟლეტა და რომელნიც ჰკლავდნენ ასობით დაღუპულ მსხვერპლებს, როგორც სომხების, ისე მეზობელ მაჰმადიანებისას, არ შეუძლიათ არ აღნიშნონ ის თანაგრძნობა, რომელიც უბედურების დროს გამოუცხადეს სომხებს ქართველ ხალხის მრავალმა წარმომადგენლებმა.

ნუგეშისა და თანაგრძნობის სიტყვები, რომელიც ასე მძლავრად გაისმა ამ უბედურების დროს კავკასიის ყველა კუთხიდან, უფრო მეტად გვაიმედებს, რომ შორს აღარ არის ბრწყინვალე ნათელი დღეები, როდესაც კავკასიის ხალხი იმ რწმენით გაიმსჭვალება, რომ ყველანი ძმები არიან, სამშობლოს კუთხის საზოგადო ინტერესებით გაერთიანებულნი და შეკავშირებულნი.

ბაქოელი სომხები ამასთან ერთად თავის გულწრფელ სალამს უძღვნიან ქართველ ერის იმ მოწინავე კაცებს, რომელნიც, ბნელ ძალთა წინააღდეგობის მიუხედავად, უკვე დიდი ხანია ქადაგებენ ხალხთა ძმობისა და სოლიდარობის იდეას და იწვევენ მათ საერთო მუშაობისთვის კულტურისა და პროგრესის ასპარეზზე.

გავა წლები, დაემხობიან ბნელი ძალნი, გაიმარჯვებს სიყვარულისა და ძმობის იდეა და მადლიერი შთამომავლობა, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად, მოწიწებით თავს მოიხრის იმათ ხსოვნის წინაშე, ვინც მშობელ ქვეყანაში სთესდა კეთილ, პატიოსან და გონიერ თესლს.

არქიმანდრიტი მხითარი, ბ. გუკასოვი, ს. ტაგიანოსოვი, ს. არუთინოვი, ი. ხატისოვი, ა. ასრიბეკოვი, ი. სავტელიანი, ი. ქოჩარიანი, ი. ტერ-მიქელიანცი, ბ. დოლუხანოვი, ოკ. კაზაზნური, ტ. ზაქარიანი, ა. სათაროვი, ნ. ტერ-ტომასოვი, ტ. ბუდაგოვი, დ. გულიევი, ექიმი კ. სარქისოვი, ინჟ. ა. ადამოვი, მ. შათიროვი, ინჟ. ტერ-ანდესიანცი, ა. ოგანჯანოვი, ს. ადამოვი, ტ. ბეგზადიანი, ქრ. სარქისოვი, გმ. ნაზარიანცი, ერ. ტაგიანოსოვი, დ. არუთინიანი, ავ. ვაზიანცი, ხ. ბაგატუროვი, ი. მხიანცი, ა. ვაზიანცი, არ. გუკასოვი, ა. დოსტაკოვი, არ. პარონიანი, ექიმი ა. არუთინოვი, ს. ხასატრიანი, დ. ტერ-აკოფოვი, ივ. ამირთოვი, ივ. ტერ-აკოფოვი, ს. ათაბეგოვი, არშ. უნანოვი, სტ. ხოჯაევი, ა. ვართაზოვი, მიხ. ალიბეკოვი, ივ. ალიბეკოვი.

თეატრი

ქუთაისი. 26 თებერვალს ვლ. ალექსი-მესხიშვილის საბენეფისოდ წარმოადგინეს პირველად ვ. ჰიუგოს დრამა „რუი ბლაზი“, თარგმ. კ. ყიფიანის და კ. მესხისა. კარგი პიესაა და საზოგადოებასაც ძლიერ მოეწონა იმისი შინაარსი. ღირსეული [illegible], რომელმაც [illegible]ბულად ჩაატარა რუი-ბლაზის როლი, ღირსეულად დააჯილდოვა ქუთაისის საზოგადოებამ: თეატრში ტევა აღარ იყო; ლოჟებში სულ ექვს-ექვსი სკამი იდგა; უადგილობისა გამო ბევრი ფეხზე იდგა. მობენეფისეს რამდენიმე საჩუქარი მიართვეს, სხვათა შორის, მისი დიდი სურათი, მშვენიერს ჩარჩოში ჩასმული. სურათს თან ახლდა ლექსიც, რომელიც საზოგადოების თხოვნით სცენიდან წაიკითხა მსახიობმა ბ-ნმა გვარამძე. თაიგულების და ქუდების სცენაზე სროლას და აღტაცებულს „ვაშა“-ს ძახილსა და ტაშის ცემას ხომ დასასრული არ ჰქონდა.

დონ-ვალიანი

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

1 მარტი

სუდა, 28 თებერვალი. ჯავშნიანი გემები „იმპერატორ ნიკოლაი I“, „ადმირალ უშაკოვი“, „ადმირალ სენიავინი“, „ადმირალ აპრაქსინი“ და „ვლადიმირ მონომახი“ და სატრანსპორტო გემები მოვიდნენ.

ტოკიო, ოფიციალურად. ცინხეჩენის აღების შემდეგ სინცზინის. მხარეს შემდეგი დავლა ჩაიგდეს ხელში: 2200 თოფი, 6 მსწრაფლ მსროლელი ზარბაზანი, 320 ათასი პატრონა, 6 ათასი სასანგრე იარაღი და რკინის გზის მასალა, რომელიც 34 მილის სიგძე რკინის გზას ეყოფა, 450 ვაგონი 10 პოვოზკა ტანისამოსით და აუარებელი ხორბალი და თივა. რუსებმა 1200 გვამი დასტოვეს ბრძოლის ველზე; იაპონელებმა 800 რუსი დაატყვევეს. რუსების ზარალი ამ მხარეს 20 ათას კაცზე მეტია.

ლონდონი, 1 მარტი. გაზეთებს საგანგებო დეპეშები არ მოსვლიათ ომის ასპარეზიდან, რადგან ტოკიოდან დეპეშებმა დაიგვიანეს.

პეტერბურგი, უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტ კუროპატკინისა: 1) 27 თებერვლის თარიღით: „გენერალ-ადიუტანტი ბარონი მეიენდორფი 25 თებერვალს ცხენიდან გადმოვარდა, ლავიწი გაიტეხა და ხარბინში გავისტუმრეთ“. 2) 28 თებერვალს თარიღით: „27 თებერვალს ბრძოლის შესახებ მოხსენება არ მიმსვლია“.

მოსკოვი, 23 თებერვალი. ნოქართა საზოგადოებამ მიჰმართა საბჭოს და სთხოვა, რომ ყველა იმ საკითხების გადაწყვეტის დროს, რომლებიც ვაჭრებთან მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრებას შეეხება, მიწვეულ იქნან მოსკოვის ნოქართა საზოგადოებების წარმომადგენლები. — საბჭომ და ერობამ შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან მიიღო განმარტება იმის შესახებ, რომ დაჭრილთა და ავადმყოფთა ოჯახებს დახმარებას საზოგადო დაწესებულება აძლევს იქამდინ, სანამ, ბრძოლის ველიდან დაბრუნების შემდეგ, ხაზინა არ დაეხმარებათ.

სტამბოლი, 28 თებერვალი. ხმებია, ვითომც სულთანის მოკვლის ჩადენა განეზრახოთ. ამ საქმესთან დამოკიდებულება აქვს იმას, რომ გაძლიერდა სასახლის აღმატებული ჰორნა, სულთანის ორი ადიუტანტი და ორიც გენერალი.

კილი. გემი „[illegible]რმარს“-ი, რომელიც კილში უნდა მოსულიყო, [illegible]ებეჲი დაიკარგა. ჰფიქრობენ, რომ 20 კაცი მე[illegible]ლაური სულ დაიღუპაო.

რომი. ახალი [illegible] არ შედგარა. ტიტტონისა და ლუცატის აღარ სურთ თავიანთ ადგილას დარჩენა. ამას გარდა საჭიროა გამონახონ საზოგადო სამუშაოს მინისტრის ადგილისათვის გამოჩენილი საპარლამენტო მოღვაწე, რადგანაც რკინის გზების პროექტები დამუშავებული და, თუ მცოდნე კაცი არ დარჩა, ეს პროექტები ფუჭად ჩაივლის. აქამდე ვერ უპოვნიათ შესაფერი კაცი.

პეტერბურგი. მეორე სესხის უმთავრესი მოგება შემდეგ ბილეთებს შეჰხვდა: 200 ათასი მანეთი—1632/50; 75 ათასი მან. 5678/47; 40 ათასი მ.—6780/45; 25 ათასი მან.—4182/44; 10 ათასი მან.—4062/41, 17626/16, 1314/43; № 8 ათასი მან.—5629/29, 11131/4, 18748/22 17296/42, 5827/8; 5 ათასი მ.—6112/41, 11661/43, 7695/29, 6130/10, 13028/14, 15562/18, 12832/37, 7227/20; ათასი მ.—3283/11, 16141/15, 14342/39, 4275/2, 2100/48, 14399/12, 12304/46, 12069/13, 16801/1, 8759/48, 10416/49, 8609/22, 17330/11, 10439/22, 13810/33, 17458/46, 12488/1, 19610/35, 2787/18, 11600/6.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

1 მარტი.

სუდა, 28 თებერვალი. მაროკოს წყლებიდან მოვიდა რუსეთის ესკადრა, რომელიც 4 ჯავშნოსანის, 1 კრეისერის, რუსეთის 3 ტრანსპორტისა, 1 ბუქსირისა და უცხოეთის 3 ტრანსპორტიდან შესდგება. ამ ესკადრას უფროსობს ნებოგატოვი.

ლონდონი, 28 თებერვალი. იაპონიის საელჩო იუწყება, რომ რუსებმა მაძიატუნსა და სხვა ადგილებში დასწვეს სურსათის მაღაზიები.

ოდესა, 28 თებერვალი. წავიდა გემი „კოსტრომა“, რომელიც როჟესტვენსკის ესკადრისთვის არის დანიშნული. ეს გემი წარმოადგენს გოსპიტალს, მშვენივრად მოწყობილი აქვს საექიმო ნაწილი და ატარებს წითელის ჯვრის ბაირაღს.

ლონდონი, 28 თებერვალი. (რეიტერი). „პოსტ“-ი იუწყება, რომ ვაშინგტონის დიპლომატიური წრეები დარწმუნებული არიან, ერთის კვირის შემდეგ იაპონია გარდასწყვეტს ჩამოაგდოს ზავი და ისეთ ადგილს პირობებს წარუდგენს რუსეთს, რომ უკანასკნელი უეჭველად დასთანხმდებაო.

ბერლინი, 28 თებერვალი. „კელნიშე-ცაიტ.“, როგორც სჩანს, ოფიციალური წყაროებიდან, ამბობს, რომ ორივე მოპირდაპირეს დიდი ზარალი მოუვიდათ მუკდენთან ბრძოლის დროს და ამიტომ ორივემ უნდა განაცხადონ სურვილი ომის გათავებაზე. „კრეი-ცეიტუნგ“-ის ძლიერ გაგებული მიმომხილველი დაბეჯითებით ამბობს, რომ რუსები ვერ დაიცვენ ტელინს და ხარბინისაკენ დაიხევენ.

მონკოვენი, 1 მარტი. („დეილი მეილი“). გემ „ტაიშონმა“ შეამჩნია ფილიპინის კუნძულების შორი-ახლო იაპონიის 15 სამხედრო გემი, რომელნიც ნელ-ნელა მიდიოდნენ აღმოსავლეთისაკენ.

ტოკიო, 28 თებერვალი (რეიტერი). რუსეთისაგან გამოცხადებულ პროტესტის შესახებ. იაპონიამ ჩინეთის ნეიტრალიტეტი დაარღვიაო, ოფიციალური ცნობა მოვიდა, რომელიც ამტკიცებს, რომ რუსეთისაგან დაყრილი ხმები, ვითომც იაპონიის ჯარს მონგოლიაზე გაევლოს, ტყუილიაო. იაპონელებს ფეხიც არ შეუდგამთ მონგოლიაში და რუსებს კი, პირიქით, დიდი ხანია იქიდან სურსათი მოსდითო. ამასთან ექვსი დამამტკიცებელი შემთხვევაც მოჰყავს.

პეტერბურგი, 1 მარტი. ოფიციალური. უმაღლესი რესკრიპტი გენერალ-ადიუტანტის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის სახელზე: „გრაფ, ილარიონ ივანეს ძევ! მას შემდეგ, რაც კავკასია რუსეთის სახელმწიფოს ნაწილი შეიქმნა, ჩემი და ჩემის გვირგვინოსან წინამორბედების მიზანი იყო განვითარებულიყო იქ მშვიდობიანობა, კეთილ-მდგომარეობა და წესიერება ჩვენის ქვეყნის დანარჩენ ნაწილებთან მჭიდრო შეკავშირებით. საწადელს მივაღწიეთ, კავკასიის მცხოვრებლების კეთილ-დღეობა საერთოდ ძლიერ წავიდა წინ კავკასიის ბევრ მკვიდრთა შრომით. სასარგებლოთ და სადიდებლად რუსეთისა; მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ უკანასკნელ ხანებში ამ წარმატებას ხირქი მისცა ცალკე ერთა შორის მომხდარმა შეტაკებამ, იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა მთავრობის მორჩილებაზე უარი განაცხადეს და აგრეთვე არეულობებიც მოხდა, რამაც დაარღვია ცხოვრების მშვიდობიანი მიმდინარეობა. ყველა ამ უწესოებას ღრმებით ხასიათს ვაძლევ და საჭიროთ ვსთვლი დაუყონებლად იქნას აღდგენილი მშვიდობიანობა, კავკასიაში რათა ამ ქვეყნის ძალ-ღონე მიიმართოს შინაური ნაყოფიერი შრომისადმი, იმ შრომისადმი, რომელსაც, ჩემის ბრძანებისამებრ, უნდა მოვკიდოთ ცხლა ხელი სახელმწიფოში. ამ მიზნით გნიშნავთ მე თქვენ კავკასიაში ჩემს მოადგილეთ. თქვენ წინათ მსახურებდით იქ, იცნობთ იმ ქვეყანას, თქვენ ყოველ-მხრივი გამოცდილება გაქვთ სახელმწიფო საქმეებში, ბევრი შრომა მიგიძღვით სამშობლოს წინ და ყველაფერი ეს მაძლევს მე შეურყეველ რწმენას, რომ ზედმიწევნით შეასრულებთ თქვენდამი მინდობილ საქმეს და ერთგულ დახმარებას გაგიწევენ კავკასიის ყველა წოდებათა და ერთა ყოველი კეთილ-მოაზრე ადამიანი“.

მოსკოვი, 28 თებერვალი. საარაკო აფეთქება მოხდა მოსკოვ-მდინარის ნაპირას, კრემლის კედლების პირ-და-პირ. აფეთქებას ძლიერი ტკაცანი მოჰყვა, გოროდოვოი რამდენიმე საჟენის სიმაღლეზე გადავარდა, მაგრამ შიშის მეტი არა მოსვლია რა.

ლონდონი, 28 თებერვალი (რეიტერი). ლორდთა პალატა. როცა კამათი ჰქონდათ რუსეთსა და ინდოეთს შორის ფოსტალური უთანხმოების შესახებ, ინდოეთის საქმეების მინისტრის თანაშემწემ განაცხადა, რომ რუსეთისაგან გადადებულ ბაჟს ინდოეთისა და ცეილონის ჩაიზე არომჟვენენ მხოლოდ ადესიდან შეტანის დროს და ცუდი გავლენა მას არ ჰქონია, რადგანაც ჩაით ვაჭრობის საქმე ფაქტიურად წინ წავიდაო. იმ კითხვაზე, თუ როგორი ზომები უნდა იქნას მიღებული რუსეთის შაქრის გერმანიით ინგლისში შემოტანის წინააღმდეგ, რომელიც გადადიდა რუსეთ-გერმანიის ხელ-შეკრულობის შემდეგ, ვაჭრობის მინისტრმა ჯერალდ ბალფურმა უპასუხა, რომ შაქარს, რომელიც ინგლისში შემოაქვთ, იმის მოწმობაც აქვს, თუ საიდანაა ეს შაქარი. თუ ბრიუსელის კომისია გერმანიისა და რუსეთის ზომებს ბრიუსელის კონვენციის დარღვევად ჩასთვლის, მაშინ ის შესაფერ განკარგულებას შეიტანს.

პეტერბურგი, 28 თებერვალი. ბრიტანიის ელჩები ჯერ კიდევ ქაბულში არიან და არ იციან, როდის წავლენ იქიდან. საელჩოს წევრებს არ უნახავთ ემირი რამდენიმე დღეა, რადგანაც იგი ავადაა. ელჩებთან მიმოსვლის ნება მხოლოდ რამდენიმე პირს აქვს. ემირმა ასეთი პასუხი მისცა რუსების ვაჭრებს მათ შუამდგომლობაზე, ქაბულში მიმოსვლის ნება მოგვეცეთ: ამ ჟამად მოუხერხებელია ქაბულში შემოსვლა, რადგანაც სიცივეებია და ურჩია გაჰყიდონ თურქესტანში საქონელი და მაინდა ავღანის გუბერნატორს შეისყიდოს ყველა საქონელი, რაც გაუყიდველი დარჩებათ.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 25 თებერვალი 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,20
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,80
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	37,60
ბირჟის დისკონტი	$5^1/_4$—$6^3/_4$%
4% სახელმწიფო რენტა	$89^5/_8$
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	86
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	393
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	$329^1/_2$
5% გირ. პომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	271
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
$5^1/_2$% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
4% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
$4^1/_2$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	

მიმოსვლა რკინის გზისა ცარევლებისა 15 ოქტომბრიდან.

ცრჩხილებს გარეთ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.;) 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს., 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში ღია არის დილით 10—2 საათ
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131. ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19. ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—8 „

განცხადებანი

ოზურგეთის თვითმმართველობის დარბაზში 6 მარტს ვაჭრობით გაიცემა ბახჭაროს ზომხ[illegible] ბელი ამხანაგობის „ჯანმრთელობის“ დუქნები 1905 წ. სეზონისთვის, ვინც ივაჭრებს, უნდა წარმოადგინოს 200 მ. ზა[illegible]გი. (4—02070—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 28 თებერვლისთვის **დანიშნულია საჯარო ვაჭრობა,** რომლის დროსაც გაიცემა ქალაქის მიწის ნაჭერი, ალექსანდრეს ბაღის ქვემოთა ნაწილში. უნდა აშენდეს ამ ადგილას ფარდული.

პირობების გაცნობა შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, გამგეობის მეოთხე განყოფილებაში 10-დან 2 ს. (2—6—2)



СѢДЕЛЬН СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (წ.—176—107)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აუწყებს ყველას, რომ რადგან ქალაქში **ძალიან გახშირდა წითელა,** ქალაქის საავადმყოფოს (აელაბარი, ნოვო-ტროიცის სოფელი) ერთი ბარაკი დაეთმობა წითელით ავადმყოფებს. (4—6—3)

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—6).

პირველი საწყობი შეშისა

ცუდად დაწყობილი — ბ. ი. კურცხალიასი — კარგად დაწყობილი

ანდრეევის ქუჩა დამიანის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პავოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეში

საჟენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან [illegible] იდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან. 90—13)

გამგე ნიკოლოზ პავ[illegible] ძე [illegible]კნაძე.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, იქალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონი-შვილისა—მ. კ. ზოეშა ბაჩანანი	— 10
ითხებ დავითაშვილის ლექსები	— 50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	— 20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1 50
II და III ტომი თითო	1 —
ი. ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივ II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	— 80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	— 20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	— 55
სიბრძნე ბალავარისა	— 30
ადა-მაჭმად-ხანის შემოსვლა [illegible]	— 10
დვინის დაყენება, პროფ. გ. [illegible]ისა	1 50
რძე, მისივე	1 50
ცეხლითა და მახვილით [illegible] —გენრიხ სენკევიჩისა	— 8[illegible]
დასტურ-ლამა	— 2[illegible]
სურათები საქართველოს [illegible], დედოფალთა და ბატონიშვილ[illegible]	— 25
ფიზიოლოგია—ფოსტერის	— 20
ცხნთი რაიფისა, თარგ. [illegible]რიდან ზ. ევანგულოვისა	1 —

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის [illegible] პსურს, მიმართონ ქართველთა ამხ. კანტორას ბანკის ქუჩაზე, ამხ. ტმაბაში. (25—18)

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა ქ. გამომ. ამხ—ა.